



საქართველოს პირველი ანგარიში
ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ
ევროპული ჩარჩო კონვენციის 25-ე მუხლის
პირველი პარაგრაფის შესაბამისად

(2007 წლის 30 მარტი)

**ზოგადი ინფორმაცია საქართველოში კონვენციის განხორციელების
შესახებ**

I ნაწილი

შესავალი

1. საქართველო ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვალსაზრისით მრავალფეროვანი ქვეყანაა. ეს სახელმწიფოს მხრიდან ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ქვეყნის კონსტიტუცია უმცირესობების უფლებების დაცვის გარანტიას იძლევა და კრძალავს ეთნიკურ თუ რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციას. თუმცა, ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობის სრულყოფილი ინტეგრაცია "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსული ხელისუფლების მიმდინარე გამოწვევაა. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. საბჭოთა პერიოდში არსებული სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა, რაც საბჭოთა ერის ჩამოყალიბებისაკენ იყო მიმართული, ამჟამად გამოუსადეგარია. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში, მაშინდელი მთავრობის მიერ გატარებული მკვეთრად ნაციონალისტური პოლიტიკის ფონზე მოხდა რამდენიმე კონფლიქტი, რომელსაც პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა, მაგრამ ეთნიკური შეფერილობა ახასიათებდა. 1990-იან წლებში საქართველოში ფაქტიურად მოიშალა სახელმწიფო ინსტიტუტები. სახელმწიფოს ფუნქციები, მათ შორის მართლწესრიგის დაცვა და დავების მოწესრიგება, კრიმინალური ან პატრონ-კლიენტური დაჯგუფებების ხელში აღმოჩნდა. ეს განსაკუთრებით ეხებოდა გეოგრაფიულად იზოლირებულ და, მათ შორის, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს.

საქართველოს მთავრობას მტკიცედ აქვს აღებული კურსი უმცირესობების სრული ინტეგრაციისაკენ, მათი უფლებების ინსტიტუციონალიზებული დაცვის უზრუნველყოფის გზით. ამიტომაც საქართველოს პარლამენტი 2005 წლის 13 ოქტომბერს ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციას ეროვნული უმცირესობების დაცვის სფეროში რატიფიკაცია გაუკეთა.

2. საქართველოს ხელისუფლება მუშაობს ეროვნული უმცირესობის დეფინიციის განსაზღვრის საკითხზე, რადგან საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 3 ოქტომბრის №1938-II დადგენილებაში წარმოდგენილი დეფინიცია არ არის ჩარჩო კონვენციის პრინციპების ადეკვატური. მის შინაარსს არ ეთანხმება სახელმწიფო ექსპერტების, არასამთავრობო სექტორის და უმცირესობათა წარმომადგენლების დიდი ნაწილი. ამის გამო, სარატიფიკაციო სიგელის დეპონირებისას, საქართველომ ევროპის საბჭოში განმარტების წარდგენისაგან თავი შეიკავა.

საქართველო იზიარებს ვენეციის კომისიისა და რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომისიის რეკომენდაციებს ეროვნული უმცირესობის განსაზღვრებასთან დაკავშირებით. ხელისუფლება ამ საკითხებით დაინტერესებულ ინსტიტუტებთან, მათ შორის სახალხო დამცველის ოფისთან არსებულ ეთნიკური უმცირესობების საბჭოსთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ამუშავებს ახალ დეფინიციას.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და შემწეობის საბჭოს ფარგლებში, რომელსაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო მინისტრი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში, შექმნილია ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავებელი სამუშაო ჯგუფი. სწორედ აღნიშნული ჯგუფი ჩამოაყალიბებს საერთო მიდგომას ეროვნული უმცირესობის ტერმინის დეფინიციასთან დაკავშირებით. საერთო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება 2007 წლის ბოლომდე იგეგმება, რაც ყველა ამ საკითხით დაინტერესებული სუბიექტისთვის ღია და ხელმისაწვდომი პროცესია.

3. საქართველო აცხადებს, რომ კონვენციის დებულებებს სრულად და გარანტირებულად განახორციელებს საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელზედაც საქართველო ახორციელებს სრულ იურისდიქციას.
4. საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით (მუხლი 19.1), იურიდიული ძალის მიხედვით ნორმატიული აქტების იერარქიაში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას და შეთანხმებას საქართველოს კონსტიტუციის (კონსტიტუციური კანონისა) და კონსტიტუციური შეთანხმების შემდეგ უპირატესი ძალა აქვს სხვა ნორმატიული აქტების მიმართ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 20.2-სა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო უფლებამოსილია უცხოეთის შესაბამის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოსთან დადოს ხელშეკრულება და შეთანხმება, რომელსაც (მიუხედავად მათი ფორმისა და სახელწოდებისა) აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც თვით ამ ორგანოს ნორმატიულ აქტს („ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონი, მუხლი 20.3).

საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც ადგენენ კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებენ დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, საქართველოში პირდაპირ მოქმედებენ.

საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის სისტემა

5. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პარაგრაფის თანახმად, განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ. კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს შემადგენლობაში შედის აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები. კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსი განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით.

6. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. კონსტიტუციის მე-5 მუხლის მიხედვით, საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

7. საქართველოში საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. პარლამენტის ფორმირება ხდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე. ამჟამად პარლამენტი შედგება ფარული კენჭისყრით, პროპორციული სისტემით არჩეული 150 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 85 პარლამენტის წევრისგან. 2003 წლის 2 ნოემბრის რეფერენდუმის შედეგების თანახმად, 2005 წლის 23 თებერვალს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, შემდეგი, 2008 წლის მოწვევის პარლამენტის წევრთა რაოდენობა განისაზღვრა პროპორციული სისტემით არჩეული 100 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 50 პარლამენტის წევრით. პარლამენტის უმთავრეს ფუნქციას ხელისუფლების განაწილების მექანიზმში საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს. პარლამენტი ასევე განაგებს სახელმწიფო ფინანსებს, რაც გამოიხატება სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიღებასა და მისი შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცებაში. პარლამენტს მნიშვნელოვანი ფუნქციები აქვს აგრეთვე სახელმწიფო ორგანოთა ფორმირების, სახელმწიფოს თავდაცვისა და უშიშროების სფეროში. პარლამენტის კომპეტენციაში აგრეთვე შედის საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიკაციისა და დენონსაციის უფლებამოსილება. განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

8. საქართველოს სახელმწიფოს მეთაური საქართველოს პრეზიდენტია. საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის საფუძველზე „პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით“. პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაური უზრუნველყოფს ქვეყნის მართვას და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, ქვეყნის ერთიანობასა და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა კოორდინაციას. კონსტიტუციის 73-ე მუხლის თანახმად საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან, დებს ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს კონსტიტუციის შესაბამისად, პარლამენტის თანხმობით ნიშნავს საქართველოს ელჩებს და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს და ასევე იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას. კონსტიტუციით განსაზღვრულია წესები და შემთხვევები, როდესაც პრეზიდენტს უფლება აქვს დაითხოვოს პარლამენტი. პრეზიდენტის კომპეტენციაში შედის პრემიერ-მინისტრის დანიშვნა. პრეზიდენტი სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის ქმნის ეროვნული უშიშროების საბჭოს, რომელსაც თავად ხელმძღვანელობს. მის წევრებს პრეზიდენტი ერთპიროვნულად ნიშნავს. პრეზიდენტი არის სამხედრო ძალების უმაღლესი

მთავარსარდალი. იგი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამხედრო ძალების გენერალური შტაბის უფროსს და სხვა მხედართმთავრებს, ასევე ამტკიცებს სამხედრო ძალების სტრუქტურას. პრეზიდენტი ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

9. აღმასრულებელ ხელისუფლებას საქართველოში მთავრობა (მინისტრთა კაბინეტი) ახორციელებს. კონსტიტუციის 87-ე მუხლის თანახმად მთავრობა უზრუნველყოფს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან. კონსტიტუციით დადგენილი წესით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანების შესასრულებლად შეიძლება დაინიშნოს სახელმწიფო მინისტრი. მთავრობა და მთავრობის წევრები უფლებამოსილებას იხსნიან საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.
10. 2004 წლის თებერვალს ცვლილებები შევიდა 1995 წლის კონსტიტუციაში, რომლითაც საქართველოს პოლიტიკური სისტემა განისაზღვრა, როგორც ნახევრად საპრეზიდენტო. კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად პრეზიდენტი, რომელიც მანამდე სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური იყო, მხოლოდ სახელმწიფოს მეთაური გახდა. კონსტიტუციური ცვლილებების თანახმად, პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, რომელიც შემდგომ პრეზიდენტის თანხმობით ნიშნავს მთავრობის წევრებს (მინისტრებს). პრეზიდენტი უშუალოდ ნიშნავს შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრებს. მთავრობას (მინისტრთა კაბინეტს) სჭირდება დამტკიცება პარლამენტის მხრიდან. თუ პარლამენტი სამჯერ არ დაამტკიცებს მთავრობას, პრეზიდენტს შეუძლია პრემიერ-მინისტრი პარლამენტის თანხმობის გარეშე დანიშნოს. ასეთ შემთხვევაში და მაშინაც, თუ პარლამენტი სამჯერ უარყოფს მთავრობის შემთავაზებულ ბიუჯეტს, პრეზიდენტმა უნდა დაითხოვოს ან მთავრობა ან პარლამენტი. პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში პრეზიდენტმა რიგგარეშე არჩევნები უნდა დანიშნოს. პრეზიდენტს მთავრობის დათხოვნის შეუზღუდავი ძალაუფლება გააჩნია.
11. საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის საფუძველზე საკონსტიტუციო კონტროლს საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ კონსტიტუციური სარჩელით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე, თუ მათ მიაჩნიათ რომ დარღვეულია ან შესაძლებელია დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი.
12. სასამართლო ხელისუფლების უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია, ასევე კანონები „საერთო სასამართლოების შესახებ“ და „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“. სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლის დამოუკიდებლობა დაცულია და მისი ხელყოფა ისჯება კანონით.

საერთო სასამართლოები სამი ინსტანციისაგან შედგება, რომელთაგან პირველი ინსტანციის, რაიონული (საქალაქო) სასამართლოები, არსებითად განიხილავენ საქმეს და გამოაქვთ გადაწყვეტილება; მეორე, სააპელაციო ინსტანციაში (თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სააპელაციო სასამართლოები) შესაძლებელია გასაჩივრდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. მესამე, საკასაციო, საბოლოო ინსტანციის სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლოა. ის გადასინჯავს ქვედა ინსტანციების გადაწყვეტილებებს. საერთო სასამართლოების სისტემაში საომარი მდგომარეობის დროს შეიძლება კანონით გათვალისწინებული წესით შეიქმნას სამხედრო სასამართლოები. დაუშვებელია საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა.

13. საქართველოს სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

კონსტიტუცია აღიარებს ყველა მოქალაქის თანასწორობას კანონის წინაშე. ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.” (მე-14 მუხლი)

აღნიშნული პრინციპი აღიარებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლით, რომლის შესაბამისად „ყველა თანასწორია კანონისა და სასამართლოს წინაშე – რასის, ეროვნების, ენის, სქესის, სოციალური წარმოშობის, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, რწმენის, აგრეთვე სხვა გარემოებების მიუხედავად.”

14. სასამართლოში დაცვის უფლება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით. კონსტიტუციის 42-ე მუხლის მიხედვით, ყოველი ადამიანი უფლებამოსილია თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. კონსტიტუცია აგრეთვე ადგენს მოქალაქის უფლებას მოითხოვოს სასამართლოს წესით სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.

დარღვეული უფლების აღდგენის საფუძველია სასარჩელო განცხადება, რის შემდეგაც იწყება სამოქალაქო საქმის განხილვა დისპოზიციურობისა და მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად. საქართველოს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი აღჭურვილია საპროცესო უფლებაუნარიანობით.

ისტორია

15. საქართველო მთელი თავისი ისტორიის მანძილზე გამოირჩეოდა ეთნიკური, ენობრივი, რელიგიური თუ კულტურული მრავალფეროვნებით.

ადმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაგასაყარზე მდებარეობამ, განსაზღვრა მისი მრავალფეროვნება.

16. რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებიდან გამომდინარე, ასევე მეზობელი იმპერიული სახელმწიფოების მიგრაციული პოლიტიკის შედეგად, საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა სხვადასხვა პერიოდში იცვლებოდა. ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფი საკუთარ საცხოვრებელ ადგილას განცდილი რეპრესიების შედეგად იძულებული გახდა საქართველოსათვის შეეფარებინა თავი, ზოგიერთი შემოსევებისაგან გაუკაცრიელებულ საქართველოს ტერიტორიებზე დასახლდა. XVIII საუკუნის მიწურულიდან XIX საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ სტრუქტურაში. ეს ცვლილებები გამოიწვია სომხების, რუსების, ბერძნებისა და გერმანელების ჩამოსახლებამ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან და რუსეთის იმპერიის შიდა პროვინციებიდან. ამის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე გაიზარდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების რაოდენობა. XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიგრაციული და ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად, ინტენსიურად მიმდინარეობდა არაქართული მოსახლეობის ჩამოსახლება. ზოგიერთ შემთხვევაში რუსეთის იმპერია ძალით ასახლებდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ერებს. მაგალითად, XIX საუკუნის 60-70-იან წლებში იძულებითი ემიგრაციის შედეგად აფხაზური სოფლების თითქმის ნახევარი მთლიანად დაიცალა.
17. საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, ინდუსტრიალიზაციისა და სამრეწველო ბუმის პერიოდში, ხდებოდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი გადაადგილება. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან საქართველოში ჩამოდიდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომლებიც შემდეგ საქართველოში რჩებოდნენ საცხოვრებლად. ქვეყნის შიგნით, მოსახლეობა გადაადგილდებოდა ინდუსტრიული და ტურისტული ცენტრების მიმართულებით. ჩამოსახლების პარალელურად საქართველოდან მოსახლეობის ემიგრაციაც შეინიშნებოდა, მათ შორის იძულებითი ემიგრაცია. ამ მხრივ, აღსანიშნავია, 1944 წელს სსრკ-ის თავდაცვის სახკომიტეტის დადგენილების საფუძველზე, სამცხე-ჯავახეთიდან ცენტრალურ აზიაში 90 ათასამდე მუსლიმი მოქალაქის გასახლება.
18. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა 1990-იან წლებში განვითარებული პროცესების შედეგად, როდესაც სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე კონფლიქტები განვითარდა. თუ 1989 წლის აღწერის მონაცემებით, ეროვნული უმცირესობები ქვეყნის მოსახლეობის 30%-ს შეადგენდნენ, 2002 წლის აღწერის შედეგებით, საქართველოში (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიების გამოკლებით) მათი ხვედრითი წილი 16%-მდე შემცირდა.
19. ამ პერიოდში ეროვნული უმცირესობების რაოდენობის შემცირების უმთავრესი მიზეზი ემიგრაციაა. ემიგრაციის პირველ ტალღას ბიძგი მისცა 1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და პოლიტიკური ვითარების მკვეთრმა გაუარესებამ. ემიგრაციაში მიდიოდნენ საქართველოს მოქალაქეები, განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა.

20. 1990-იანი წლების დასაწყისში ეროვნული უმცირესობების ემიგრაციის გამომწვევი ერთ-ერთი ფაქტორი საქართველოს ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ჯგუფების ნაციონალისტური რიტორიკაც იყო.
21. 1992 წლის დასაწყისში ქვეყნის სათავეში მოსულმა ახალმა ხელმძღვანელობამ უარი თქვა ნაციონალისტურ პოლიტიკაზე, თუმცა ამას ეროვნულ უმცირესობებს შორის ემიგრაციული აქტიურობის შემცირება არ გამოუწვევია. ამის შემდეგ ემიგრაციის მთავარ ფაქტორად უმუშევრობა, ცხოვრების დონის გაუარესება და საკუთარი შესაძლებლობის რეალიზაციისთვის პირობების არ არსებობა იქცა. ამ ფაქტორის გამო ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან ერთად ემიგრაციაში ეთნიკური ქართველებიც წავიდნენ.
22. ეროვნული უმცირესობების სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ამჟამებს საინფორმაციო იზოლაცია. საბჭოთა კავშირში რუსული ენა ეთნიკურ ჯგუფებს შორის კომუნიკაციის ძირითადი ენა იყო, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქართული გახდა სახელმწიფო ენა და თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა რუსული მასმედიაში. ქართული ენის ცოდნა საბჭოთა პერიოდში არ იყო პრიორიტეტული ეროვნული უმცირესობებისათვის. შედეგად, საქართველოს მოქალაქეების მნიშვნელოვანმა ნაწილმა (ეროვნულმა უმცირესობებმა) არ იცოდა ქართული ენა, რაც მათი იზოლაციის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი გახდა.
23. ეროვნული უმცირესობების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 1999 წლის აპრილში, როდესაც საქართველო ევროპის საბჭოს წევრი გახდა. საქართველომ ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩოს კონვენციის ხელმოწერისა და რატიფიკაციის ვალდებულება აიღო. საქართველომ 2000 წლის იანვარში ხელი მოაწერა კონვენციას, ხოლო პარლამენტმა მისი რატიფიკაცია 2005 წელს მოახდინა. იმ პერიოდში სახელმწიფო მმართველობის სისტემა თითქმის მთლიანად იყო მოშლილი. საყოველთაო კორუფციისა და სახელმწიფო ხელისუფლებასთან შეზრდილი პატრონ-კლიენტური ქსელების მოქმედების პირობებში განვითარდა ეკონომიკური და პოლიტიკური სტაგნაცია. განსაკუთრებით მძიმე იყო ვითარება ქვეყნის ცენტრისაგან მოწყვეტილ რეგიონებში. ამ პირობებში უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მხარეებში მმართველობის სისუსტე, მოძველებული საგზაო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, უმუშევრობა, ელექტროენერჯისა და საწვავის დეფიციტი, სოციალური დაცვის ქსელის მოშლა აღიქმებოდა ეროვნულ ნიადაგზე დისკრიმინაციის მცდელობად. ამავე დროს, მსგავსი პრობლემები არსებობდა უმრავლესობით დასახლებულ რეგიონებშიც.
24. 1990-იან წლებში ქვეყანაში შექმნილი ვითარება ხელისუფლების მიმართ მასობრივ უკმაყოფილებაში გადაიზარდა. 2003 წლის ნოემბერში, გაყალბებული არჩევნების შემდეგ, საქართველოს მოსახლეობა დემოკრატიული ოპოზიციის თაოსნობით საკუთარი საარჩევნო ხმების დასაცავად გამოვიდა. ხელისუფლების უუნარობას, მოსახლეობასთან დიალოგი გაემართა და ახალი არჩევნები ჩაეტარებინა, “ვარდების რევოლუცია” მოჰყვა. ხელისუფლებაში მოვიდა ოპოზიციური პოლიტიკური მოძრაობა “ნაციონალური მოძრაობა” და მისი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ერთმნიშვნელოვნად გამოაცხადა

ქვეყნის მისწრაფება ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ. პარლამენტმა 2005 წლის 13 ოქტომბერს რატიფიკაცია გაუკეთა ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციას, რომელიც ძალაში 2006 წლის 1 აპრილს შევიდა.

25. ჩარჩო კონვენციის რატიფიკაციიდან მოკლე პერიოდში მთავრობამ მთავარ მიზნად სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება დაისახა. დაინიშნა სახელმწიფო მინისტრი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში, რომელიც შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭოსთან ერთად აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებაში ძირითადი პასუხისმგებელი გახდა. პრეზიდენტის დაფუძნებული საბჭო, რომელსაც სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თავმჯდომარეობს, შედგება სახალხო დამცველისაგან, შინაგან საქმეთა, ფინანსთა და იუსტიციის მინისტრისაგან, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარისაგან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. კონვენციის განხორციელების პირველ ეტაპზე საბჭო განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას იმ სფეროებში, რომელსაც კონვენცია მოიცავს. პარლამენტი ასევე აპირებს 2007 წლის განმავლობაში რეგიონული და უმცირესობების ენების ევროპული ქარტიის რატიფიცირებას.
26. სახელმწიფომ სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით სხვადასხვა სფეროებში პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა. საქართველოს ხელისუფლების ყურადღება მიმდინარე ეტაპზე ეთნობა განათლების სფეროს, მათ შორის სახელმწიფო ენის შესწავლას, პროფესიულ გადამზადებას და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი საჯარო მოხელეების ტრენინგს, ისევე როგორც მათი მრავალფეროვანი კულტურის შენარჩუნებას. ყველაზე დიდი გამოწვევა, რომელიც საქართველოს მთავრობის წინაშე დგას, საკომუნიკაციო კავშირების და ინფრასტრუქტურის გამყარებაა. მთავრობა აქტიურად მუშაობს სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამების შესაქმნელად, რაც ეროვნულ უმცირესობებს საშუალებას მისცემს ორენოვანები გახდნენ. ამასთანავე, სავალალო მდგომარეობაში მყოფი ინფრასტრუქტურის განვითარება, ეროვნულ უმცირესობებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის შესუსტებულ კავშირებს აღადგენს.

საქართველოს მოსახლეობა ეთნიკური შერეობის მიხედვით

27. საქართველოში დემოგრაფიულ ვითარებაზე მონაცემების შეგროვებას უზრუნველყოფს სტატისტიკის დეპარტამენტი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას. სტატისტიკის დეპარტამენტის დებულების თანახმად, დეპარტამენტი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, "სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დებულების და საერთაშორისოდ აღიარებული სტატისტიკის პრინციპების შესაბამისად.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს მოსახლეობის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერა 2002 წელს ჩატარდა. „სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 2-ე პუნქტისა და „საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის 2005

წლის 6 დეკემბრის №1026 ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც ასალი აღწერა 2010 წელს უნდა ჩატარდეს.

28. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები (მოცემულია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე ჩატარებული აღწერის შედეგები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის არაკონტროლირებადი ტერიტორიების გამოკლებით) ეთნიკური ჯგუფების რაოდენობის მიხედვით:

ეთნიკური ჯგუფი	2002		1989	
	სულ	%	სულ	%
საქართველო – სულ	4371535	100	5400841	100
მათ შორის:				
ქართველი	3661173	83.8	3787393	70.1
აზერბაიჯანელი	284761	6.5	307556	5.7
სომეხი	248929	5.7	437211	8.1
რუსი	67671	1.5	341172	6.3
ოსი	38028	0.9	164055	3.0
ეზიდი *	18329	0.4	. . .	-
ბერძენი	15166	0.3	100324	1.9
ქისტი **	7110	0.2	. . .	0.0
უკრაინელი	7039	0.2	52443	1.0
ებრაელი	3772	0.1	24720	0.5
აფხაზი	3527	0.1	95853	1.8
ასურელი	3299	0.1	6206	0.1
ქურთი	2514	0.1	33331	0.6
ჩეჩენი	1271	0.0	609	0.0
სხვა	8946	0.1	49968	0.9

* 1939 წლის აღწერის შემდეგ ეზიდები აღირიცხებოდნენ ქურთებთან ერთად. 2002 წლის აღწერის დროს ისინი ცალკე გამოიყვნენ ეზიდთა ტრადიციების ცენტრის "რაზიბუნ"-ის მოთხოვნით.

** 2002 წლის აღწერამდე ქისტები "დანარჩენი ეროვნებებიდან" არ გამოიყოფოდნენ.

საქართველოს მუდმივი მოსახლეობის განაწილება ცალკეული ეროვნებების მიხედვით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (მხარეების), ქალაქებისა და რაიონების ჭრილში იხ. დანართი 1.

პირითაღი ეკონომიკური მაჩვენებლები

29. 2004 წლიდან, საქართველოს მთავრობამ ეკონომიკის სფეროში რადიკალური რეფორმების გატარება დაიწყო. კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლამ, ბიზნეს-გარემოს ლიბერალიზაციამ და დერეგულაციამ ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებას შეუწყო ხელი. ლიცენზიების 90 პროცენტი გაუქმდა, დარჩენილის მიღება კი გამარტივდა. საქართველოს მიერ კორუფციის შემცირების, ადმინისტრირებისა და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებაში მიღწეული პროგრესი მსოფლიო ბანკმა ასახა თავის ანგარიშში (Doing Business 2007), სადაც საქართველო 2005-2006 წლის

რეფორმატორთა შორის პირველ ადგილზე დაასახელა.¹ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მონაცემებით, 2005 წელს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ზრდამ შეადგინა 9.6%, ხოლო 2006 წლის ცხრა თვეში – 8,6%. ასევე მსოფლიო ბანკის ანგარიშის (Anticorruption in Transition 3—Who is Succeeding ... And Why? (ACT3)) მიხედვით, 2002-2005 წლებში გარდამავალ ქვეყნებს შორის, ყველაზე მეტად კორუფციის დონე სწორედ საქართველოში შემცირდა.²

ახალმა მთავრობამ პოლიტიკური მმართველობის გაუმჯობესების პარალელურად წარმატებას მიაღწია ეკონომიკის მოდერნიზაციის კუთხითაც. 2004 წლის შემდეგ მთავრობამ გადახედა საგადასახადო კოდექსს და გააუქმა ბევრი საბაჟო ტარიფი. გატარებულმა ღონისძიებებმა მრავალ ბიზნესს მისცა საშუალება ჩრდილოვანი ეკონომიკიდან გამოსულიყო, რამაც შემოსავლების ზრდასა და ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის შემცირებას შეუწყო ხელი.

ახალი მთავრობის გატარებული რეფორმების შედეგად მიღწეული პროგრესი ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებზეც აისახა. 2003 წელთან შედარებით, 2006 წლისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი 279 პროცენტით გაიზარდა. 2006 წელს სახელმწიფო ბიუჯეტმა 3538,8 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2005 წლის ბიუჯეტთან (2607,9) შედარებით 35,7 პროცენტთან ზრდას წარმოადგენდა. ზრდის გაგრძელება მომავალშიც იგეგმება, რადგან გეგმის მიხედვით 2007 წლის ბიუჯეტი 2006 წელთან შედარებით 4,9 პროცენტით გაიზრდება და 3712,3 მლნ ლარს შეადგენს.³

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ნომინალურმა ზრდამ 52 პროცენტი შეადგინა, 2003 წელს მშპ 8564 მლნ ლარს შეადგენდა, ხოლო 2006 წლის მოსალოდნელი მაჩვენებელი უკვე 13 080 მლნ ლარია.⁴ საქართველოს მთავრობის პროგნოზით, ზრდა გაგრძელდება და 2007 წელს მშპ 14614,5 მლნ ლარს შეადგენს. 2005 წლის მონაცემებით, მშპ-მ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგინა 2563,7 ლარი,⁵ რაც 2004 წლის მაჩვენებელთან (2166 მლნ ლარი) შედარებით მშპ-ის 18 პროცენტთან ნომინალურ ზრდას შეადგენს.

30. ბოლო სამი წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვნად გაიზარდა კომპანიების რეგისტრაცია. ეს პროცესი ასევე აისახა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. 2006 წლის მონაცემებით, ქვემო ქართლში რეგისტრირებულია 15495 ეკონომიკური სუბიექტი, რაც ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებულ სუბიექტთა 8,9 პროცენტს შეადგენს. ამ მაჩვენებლით ქვემო ქართლი მხოლოდ თბილისსა და იმერეთს ჩამოუვარდება (49,1 პროცენტი და 10,4 პროცენტი, შესაბამისად). სამცხე-ჯავახეთში 2003 წელთან შედარებით, 2006 წელს ეკონომიკურ სუბიექტთა რიცხვი 22 პროცენტით გაიზარდა და რაოდენობრივად 3938 შეადგინა, რაც ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებულ ეკონომიკურ სუბიექტთა 2,3 პროცენტს შეადგენს.⁶

¹ [\[http://www.doingbusiness.org/documents/DoingBusiness2007_Overview.pdf\]](http://www.doingbusiness.org/documents/DoingBusiness2007_Overview.pdf)

² [\[http://siteresources.worldbank.org/INTECA/Resources/ACT3.pdf\]](http://siteresources.worldbank.org/INTECA/Resources/ACT3.pdf)

³ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი: <http://www.statistics.ge/main.php?pform=132&plang=2> და <http://www.mof.ge/DinamicPage.aspx?cmd=menu&rootid=5>

⁴ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო: <http://www.mof.ge/documentfiles/bbd%20final.pdf>

⁵ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი: <http://www.statistics.ge/files/georgian/GeorgianFigures-2006.pdf>

⁶ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი: <http://www.statistics.ge/main.php?pform=93&plang=2>

ასევე გაიზარდა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი. 2006 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით, ქვემო ქართლში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 276,9 ლარი იყო, რაც მეოთხე მაჩვენებელია ქვეყნის მასშტაბით და ქვეყნის საერთო საშუალო მაჩვენებელს (303,1 ლარი) 26,2 ლარით ჩამორჩება. იგივე 2006 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით, სამცხე-ჯავახეთში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 218 ლარი იყო, რაც მეშვიდე მაჩვენებელია ქვეყნის მასშტაბით და ქვეყნის საერთო საშუალო მაჩვენებელს (303,1 ლარი) 85,1 ლარით ჩამორჩება.⁷

კონვენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საინფორმაციო კამპანია

31. კონვენციის იმპლემენტაციისა და კონვენციის მიზნების შესახებ საზოგადოების უკეთ ინფორმირებისათვის ქართულ ენაზე ითარგმნა ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

32. 2006 წლის 6-7 მარტს ქ. ბრაშოვში (რუმინეთი) ევროპის საბჭოსა და რუმინეთის მთავრობის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით: "ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში: საკონსულტაციო ორგანოების როლი". აღნიშნულ კონფერენციაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთან ერთად საქართველოს მხრიდან მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციის "სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის" დირექტორმა ზაურ ხალილოვმა.

33. ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და პირველი სახელმწიფო ანგარიშის მომზადების ხელშესაწყობად ევროპის საბჭოს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის ორგანიზებით, 2006 წლის 15-16 ივნისს ქ. თბილისში გაიმართა სამთავრობო სესია.

15 ივნისს ევროპის საბჭოს ექსპერტებმა ჩაატარეს სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის, სხვადასხვა სამინისტროების, სახალხო დამცველისა და საქართველოში ევროპის საბჭოს წარმომადგენლებმა. 16 ივნისს გაიმართა გაერთიანებული სესია, რომელშიც ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მოქმედმა ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციებმა. ჩარჩო კონვენციის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებით მოხსენებით გამოვიდა საერთაშორისო და ევროპული სამართლის პროფესორი და ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი რაინერ ჰოფმანი, ხოლო ანგარიშის მომზადების პროცესზე, ანგარიშის გეგმაზე და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების საჭიროების შესახებ, ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის სამდივნოს წარმომადგენელი, სტეფანი მარშალი. სესიაზე ასევე შედგა ჩარჩო კონვენციის მუხლობრივი განხილვა, რომელსაც რაინერ ჰოფმანი უძღვებოდა.

⁷ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი:
<http://www.statistics.ge/files/georgian/enterprise/regionebi/Sromis%20anazraureba-1.xls>

34. პირველი სახელმწიფო ანგარიშის მომზადების ხელშესაწყობად ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში. (დეტალურად იხილეთ 168-ე პუნქტი).

სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში მომუშავე სახელმწიფო ორგანიზაციები

35. 2006 წლის 1 აპრილიდან, "ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ" ევროპული ჩარჩო კონვენციის ძალაში შესვლის შედეგად, საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება, რათა ზედამხედველობა გაეწია ჩარჩო კონვენციის განხორციელებასა და ამასთან დაკავშირებულ ანგარიშგებაზე. ამ მიმართულებით მუშაობენ: სახელმწიფო მინისტრის აპარატი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში, საქართველოს პარლამენტი და ასევე საბჭოები, რომლებიც წარმოადგენენ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს. ამ მიმართულებით ასევე აქტიურად მუშაობს სახალხო დამცველის ოფისიც.

36. **სახელმწიფო მინისტრის აპარატი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში.** საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის №135 დადგენილების თანახმად შექმნილი სახელმწიფო მინისტრის აპარატი უზრუნველყოფს სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის განვითარებასა და თანამშრომლობას მთავრობის წარმომადგენლებსა და დონორებს შორის; ამზადებს ანგარიშებს "ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ" ევროპული ჩარჩო კონვენციის ფარგლებში; შეიმუშავებს პროგრამებს საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვისათვის. აპარატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებებთან და მათ წარმომადგენლებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება. სახელმწიფო მინისტრის აპარატი ასევე აგროვებს ინფორმაციას ეროვნულ უმცირესობათა საქართველოში ცხოვრების პირობების შესახებ, შეისწავლის საზოგადოებრივ აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით და ამზადებს შესაბამის დასკვნებს. უზრუნველყოფს სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე საქართველოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებას, მათ წინასწარ განხილვასა და სახელმწიფო მინისტრისათვის, საქართველოს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრისათვის შესაბამისი დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას.

37. **საქართველოს პარლამენტი.** საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით ადამიანის უფლებების დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა კომიტეტი 1995 წელს შეიქმნა. 2004 წელს კომიტეტის საქმიანობის არეალი გაფართოვდა და სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროც დაემატა, რის შედეგადაც მას ადამიანის უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის კომიტეტი ეწოდა. კომიტეტის საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს დემოკრატიული და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობას, უმცირესობების წარმომადგენელთა სრულყოფილ ინტეგრაციას საზოგადოებაში, ადამიანის უფლებების და სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას. კომიტეტი თანამშრომლობს საქართველოში მცხოვრებ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან, ასევე მჭიდრო კავშირი აქვს ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში მოქმედ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

კომიტეტი მუდმივმოქმედი ორგანოა და იქმნება პარლამენტის უფლებამოსილების ვადით. კომიტეტის სხდომები მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არა ნაკლებ თვეში ორჯერ და როგორც წესი, არასასესიო კვირის განმავლობაში.

კომიტეტში მომზადდა ”საქართველოში ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის კონცეფციის პროექტი”, რომლის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ეროვნული უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები. კონცეფციის პროექტის განხილვა 2007 წლის განმავლობაშია დაგეგმილი.

38. **სახალხო დამცველი.** საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს სახალხო დამცველი. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ოფიციალურად ფუნქციონირებს 1998 წლის 1 იანვრიდან. სახალხო დამცველის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციითა (მუხლი 43) და ”სახალხო დამცველის შესახებ” ორგანული კანონით. (16 მაისი, 1996წ., №230) სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს.

ორგანული კანონის მე-4 მუხლის თანახმად, სახალხო დამცველი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია. რაიმე ზემოქმედება სახალხო დამცველზე ან ჩარევა მის საქმიანობაში აკრძალულია და ისჯება კანონით. სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას ამოწმებს, როგორც განცხადებებისა და საჩივრების საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით და იღებს გადაწყვეტილებას ფაქტების შემოწმების თაობაზე. (მუხლი 12, 16) შემოწმების შედეგების მიხედვით, იგი იღებს რეკომენდაციებს, რომლებიც დარღვეულ უფლებათა აღსადგენად ეგზავნება იმ დაწესებულებას ან თანამდებობის პირს, რომლის მოქმედებამაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა დარღვევა ან შესაბამის სასამართლოს – ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების თაობაზე.

საქართველოს სახალხო დამცველს 5 წლის ვადით ირჩევს პარლამენტი და შესაბამისად, იგი ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე. ორგანული კანონის 22-ე მუხლის თანახმად სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტს ექვს თვეში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დისკრიმინაციის საკითხებს შეისწავლის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტს დაქვემდებარებული თავისუფლებისა და თანასწორობის სამმართველო. დეპარტამენტი უზრუნველყოფს საჩივრებისა და განცხადებების მიღებას, აწარმოებს ადმინისტრაციულ, მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი სისტემის თანამდებობის პირთა, სამოქალაქო და პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და თავისუფლებისა და თანასწორობის საკითხებზე საქმეთა გამოკვლევასა და მონიტორინგს, ამზადებს ანგარიშებს აღნიშნულის შედეგებზე და შეიმუშავებს რეკომენდაციებს დარღვეული უფლების აღსადგენად. სახალხო დამცველის აპარატთან არსებობს სპეციალიზირებული

ცენტრები: ტოლერანტობის, ბავშვის უფლებათა, პაციენტის უფლებათა და იურიდიული ცენტრი.

სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო. სახალხო დამცველის აპარატთან არსებული რელიგიათა საბჭო შეიქმნა 2005 წლის 21 ივნისს. საბჭოში გაწევრიანებულია 23 რელიგიური ორგანიზაცია. საბჭო ხელს უწყობს ისეთ სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განხორციელებას, რომელიც საფუძვლად დაედება რელიგიურ უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესს და ხელს შეუწყობს სამოქალაქო ცოდნის ამაღლებას. რელიგიათა საბჭოში ფუნქციონირებს იურიდიული, საინფორმაციო-ანალიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალურ-ჰუმანიტარული კომიტეტები. საბჭოს კომიტეტები იკრიბებიან ორ კვირაში ერთხელ, ხოლო სამ თვეში ერთხელ იმართება რელიგიათა საბჭოს სხდომა.

სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო. საქართველოს მოქალაქე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, აგრეთვე სამოქალაქო ინტეგრაციის ხარისხის გასაუმჯობესებლად 2005 წლის 16 დეკემბერს დაფუძნდა სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭო, რომელშიც გაერთიანდა 80-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია. საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობს "შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭოსთან" და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან. ხელისუფლებისა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა შორის უშუალო დიალოგის მიზნით საბჭო პერიოდულად მართავს შეხვედრებს სხვადასხვა თანამდებობის პირებთან.

საბჭოს დაფუძნების დროს ხელი მოეწერა საბჭოს მემორანდუმს. საბჭოს მიზნებისა და მემორანდუმში ჩამოყალიბებული პრინციპების რეალიზებისთვის ჩამოყალიბდა შესაბამისი მიმართულებებით ოთხი კომისია. კერძოდ, მედიისა და ინფორმაციის, განათლებისა და კულტურის, რეგიონალური ინტეგრაციისა და კონფლიქტების პრევენციის და იურიდიულ საკითხთა კომისიები.

ამ კომისიებში გაერთიანდნენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები და ორგანიზაციები. კომიტეტები იკრიბებიან ორ კვირაში ერთხელ. ხოლო საბჭოს კონფერენციები ექვს თვეში ერთხელ იმართება.

აღნიშნული კომისიები მუშაობენ უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარხო კონვენციის იმპლემენტაციის საკითხებზე. სამუშაო ჯგუფები იკრიბებიან კვირაში ერთხელ და უმცირესობების საკითხის ევროპული ცენტრის ექსპერტებთან ერთად მუშაობენ ჩარხო-კონვენციის იმპლემენტაციისათვის საჭირო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებაზე. საბჭოს წევრები ვითარების ადგილზე გასაცნობად პერიოდულად ჩადიან ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში.

39. საზოგადოებრივ მაუწყებელთან არსებული საბჭოები. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში საზოგადოებრივი ინტერესებისა და მოთხოვნების წარმოსადგენად შექმნილია საზოგადოებრივი საბჭოები. საზოგადოებრივი საბჭოები შეისწავლიან საზოგადოებისათვის აქტუალურ, პრობლემურ საკითხებს თავიანთი საქმიანობის სფეროს მიხედვით და შეიმუშავენ რეკომენდაციებს საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის.

40. **საპატრიარქოსთან არსებული საბჭო.** საბჭო დაარსდა 2005 წლის 20 ივნისს. ის შედგება 7 რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლისგან. მასში გაერთიანებული არიან მართლმადიდებლური, კათოლიკური, სომხეთის წმინდა სამოციქულო, ევანგელისტურ-ლუთერანული და ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის წარმომადგენლები, ასევე ებრაელი და მუსლიმი სასულიერო პირები.

ეროვნული უმცირესობების დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობა

41. ქვემოთ მოცემულია ყველა ის შიდა საკანონმდებლო აქტი, რომელიც მეტნაკლებად ეხება ეროვნული უმცირესობების დაცვას:

- 1) საქართველოს კონსტიტუცია;
- 2) საარჩევნო კოდექსი;
- 3) კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ;
- 4) ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- 5) კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ;
- 6) შრომის კოდექსი;
- 7) კანონი მაუწყებლობის შესახებ;
- 8) კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
- 9) კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
- 10) კანონი პაციენტის უფლებების შესახებ;
- 11) კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ;
- 12) სისხლის სამართლის კოდექსი;
- 13) კანონი კულტურის შესახებ.

42. ”საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მოიპოვოს სრულწლოვანმა უცხოელმა მოქალაქემ ან მოქალაქეობის არმქონე პირმა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ა) მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში (თუ პირი საქართველოს მოქალაქის მეუღლეა – უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში); ბ) დადგენილ ფარგლებში იცის სახელმწიფო ენა; გ) დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს ისტორია და კანონმდებლობა; დ) საქართველოში აქვს სამუშაო ადგილი ან უძრავი ქონება.

საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად პირმა უნდა მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებმა პირმა – საქართველოს დიპლომატიურ სამსახურებსა და საკონსულო დაწესებულებებს და გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი ან საკონსულო მოსაკრებელი. მოქალაქეობის მიღების თაობაზე განცხადების განხილვა-გადაწყვეტის მაქსიმალური ვადაა 6 თვე.

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება იმავდროულად მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოსა და კაცობრიობის წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება თავისი სამეცნიერო, საზოგადოებრივი საქმიანობით, ან აქვს პროფესია და კვალიფიკაცია, რომლითაც დაინტერესებულია საქართველო ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოში მყოფმა უცხოელმა უნდა მიმართოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საკონსულო დეპარტამენტს, ხოლო საზღვარგარეთ – საქართველოს დიპლომატიურ სამსახურებსა და საკონსულო დაწესებულებებს. განცხადების განხილვა-გადაწყვეტის მაქსიმალური ვადაა 3 თვე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციას უწევს ყველა დაინტერესებულ პირს, ასევე, უზრუნველყოფს მოქალაქეობის შესახებ საინფორმაციო ფურცლის გავრცელებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში არ წარმოებს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების სტატისტიკა "უმცირესობების" ნიშნით.

რე პერიოდის ინფორმაციას შეიცავს ანგარიში

43. სახელმწიფო ანგარიშში მოცემული ინფორმაცია 2007 წლის 1 მარტის მდგომარეობით არსებულ ვითარებას შეიცავს.
44. საქართველოს ხელისუფლებას ევროპის საბჭოს ექსპერტებისაგან განსაკუთრებული მხარდაჭერა დასჭირდება ეროვნული უმცირესობის დეფინიციის განსაზღვრისას, რომელიც სახელმწიფომ 2007 წლის განმავლობაში უნდა შეიმუშაოს. ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ექსპერტთა მოსაზრებები სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. აღნიშნულ დოკუმენტზე აქტიური მუშაობა პირველი სახელმწიფო ანგარიშის წარდგენის შემდეგ დაიწყება და ამ მხრივ ევროპის საბჭოს ექსპერტების რჩევები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება, რათა დოკუმენტი ევროპის საბჭოს ქვეყნების გამოცდილებაზე დაფუძნებული და სრულყოფილი იყოს.

II ნაწილი

ინფორმაცია საქართველოში კონვენციის განხორციელების შესახებ მუხლებს მიხედვით

მუხლი 1

ეროვნული უმცირესობებისა და იმ პირების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, რომლებიც მიეკუთვნებიან ამგვარ უმცირესობებს, წარმოადგენს ადამიანის უფლებების საერთაშორისო მასშტაბით დაცვის შემადგენელ ნაწილს და როგორც ასეთი, არის საერთაშორისო თანამშრომლობის სფერო.

45. საქართველოს ინკორპორირებული აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციის ძირითადი პრინციპები ქვეყნის კანონმდებლობაში და რატიფიცირებული აქვს საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ეროვნული უმცირესობების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კუთხით. მათ შორის:

- გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ წინასწარი ზომების მიღებისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ (გაეროს) კონვენცია;
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი;
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატიური ოქმი;

- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი;
- წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია;
- წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი (გაერო);
- შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ კონვენცია;
- კონვენცია დასაქმების პოლიტიკის შესახებ;
- ევროპის კულტურული კონვენცია;
- რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენცია;
- აპარტეიდის დანაშაულის აღკვეთისა და მისი დასჯის შესახებ საერთაშორისო კონვენცია;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია, მათ შორის მე-4, მე-6, მე-7 ოქმი და მე-12 დამატებითი ოქმი;
- წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია, მათ შორის პირველი დამატებითი ოქმი და მეორე ოქმი;
- ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ კონვენცია;
- ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია;
- ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია.

მუხლი 3

1. *ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება თავისუფლად აირჩიოს მას მოექცნენ თუ არა, როგორც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს და დაუშვებელია, რომ ამ არჩევანიდან ან ამ არჩევანთან დაკავშირებული უფლებებით სარგებლობიდან გამომდინარეობდეს რაიმე არახელსაყრელობა.*
2. *პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, შეუძლიათ ინდივიდუალურად, ისევე როგორც სხვებთან ერთად კავშირში, განახორციელონ ის უფლებები და ისარგებლონ იმ თავისუფლებებით, რომლებიც გამომდინარეობენ წინამდებარე ჩარჩო კონვენციით უზრუნველყოფილი პრინციპებიდან.*

46. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი აღიარებს ყველა ადამიანის თანასწორობას კანონის წინაშე - „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“. აღნიშნული პრინციპი გარანტირებულია აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებითაც.

47. საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით განსაზღვრულია ადამიანების პირადი, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებები. კერძოდ:

პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები მოიცავს მოქალაქეთა სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლებას, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება მოქალაქის საარჩევნო უფლებებს, გაერთიანების უფლებას,

ინფორმაციის უფლებას, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას, აზრის თავისუფლებას, პეტიციის უფლებას.

პირადი უფლებებია: სიცოცხლის უფლება, ღირსებისა და პატივის ხელშეუხებლობა, ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობის უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება, სასამართლო წესით დაცვის უფლება, სინდისის, აღმსარებლობისა და რელიგიის თავისუფლება, პოლიტიკური თავშესაფრის უფლება.

სოციალურ-ეკონომიკური უფლებებია: შრომის თავისუფლება, შემოქმედების თავისუფლება, ოჯახის დაცვა, სოციალური უზრუნველყოფის უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება, განათლების უფლება, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება.

48. ადგილობრივ დონეზე ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში უზრუნველყოფილია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში შესაძლებელია შემდეგი ფორმებით:

- ა) აირჩიონ და არჩეულ იქნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში;
- ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დაიკავონ ნებისმიერი თანამდებობა, თუ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
- გ) მიიღონ საჯარო ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსგან და თანამდებობის პირებისგან;
- დ) წინასწარ გაეცნონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებების პროექტებს; მონაწილეობა მიიღონ მათ განხილვაში; მოითხოვონ გადაწყვეტილებათა პროექტების გამოქვეყნება და საჯარო განხილვა;
- ე) მიმართონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და თანამდებობის პირებს;
- ე) განახორციელონ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

49. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის შესაბამისად, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ეხება სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების განკარგვას, ლიცენზირებას, გარემოსდაცვითი და მშენებლობის ნებართვების გაცემას, სტანდარტიზაციას და სატელეკომუნიკაციო სისშირის განაწილებას, ან თუ საკითხი ეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს, გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. აღნიშნული გულისხმობს განსახილველ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტაციის საჯარო გაცნობას, მოქალაქეთა შესაძლებლობას წარადგინონ მოსაზრება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით და მონაწილეობა მიიღონ ზეპირ მოსმენაში, რომელიც იმართება ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად.

50. საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 26) აღიარებს ყველა მოქალაქის თანაბარ უფლებას შექმნას და გაერთიანდეს საზოგადოებრივ გაერთიანებებში. აღნიშნული უფლება აგრეთვე გარანტირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომლითაც ყოველი მოქალაქისთვის ნებადართულია იურიდიული პირების შექმნა (საწარმოები, კავშირები, ფონდები), თუ მისი მიზნები არ ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს.

არასამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მიერ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის შესაბამისად, რეგისტრაციისთვის უნდა იქნას წარდგენილი განაცხადი, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი (დამფუძნებლები) და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები). სარეგისტრაციო განაცხადი მოწმდება ნოტარიუსის ხელმოწერითა და ბეჭდით. სარეგისტრაციო განაცხადს უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები: ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების სანოტარო წესით დამოწმებული აქტი (ოქმი); ბ) ეროვნული სპორტული ფედერაციების, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების ან პროფესიული კავშირების რეგისტრაციის შემთხვევაში – მათი სანოტარო წესით დამოწმებული წესდებები; გ) სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; დ) ხელმოწერის ნიმუში, რომელსაც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) გამოიყენებს საქმიან ურთიერთობებში; ე) ცნობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადგილსამყოფელის (იურიდიული მისამართის) შესახებ – ადგილსამყოფელის მესაკუთრის სანოტარო წესით დადასტურებული თანხმობა ან ადგილსამყოფელით სარგებლობის თაობაზე დადგენილი წესით გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება.

51. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პირადობის მოწმობაში ეთნიკური წარმომავლობის გრაფას, აგრეთვე სახელისა და გვარის ორიგინალის ფორმით ჩაწერას.

მუხლი 4

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების კანონის წინაშე თანასწორობა და კანონის მიერ თანაბარი დაცვა. ამ მიმართებით აკრძალულია ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილებაზე დაფუძნებული ნებისმიერი დისკრიმინაცია.

2. აუცილებლობის შემთხვევაში, მხარეები იღებენ ვალდებულებას მიიღონ ადეკვატური ზომები იმისათვის, რომ ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში ხელი შეუწყონ მთლიანი და ეფექტური თანასწორობის დამკვიდრებას იმ პირებს შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას და იმათ შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან უმრავლესობას. ამ მხრივ, ისინი სათანადოდ გაითვალისწინებენ იმ პირების სპეციფიკურ მდგომარეობას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

3. მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ზომები არ იქნება განხილული, როგორც დისკრიმინაციის აქტი.

52. კონვენციის მეოთხე მუხლში მოცემული პრინციპების დაცვა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით.

53. აღნიშნული პრინციპი ასევე გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, რომელიც დასჯადად აცხადებს (მუხლი 142, 143) ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას, აგრეთვე რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირ ან არაპირდაპირ შეზღუდვას ანა იმავე ნიშნით ადამიანისთვის უპირატესობის მინიჭებას.

მოქალაქეთა თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი ასევე აღიარებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (20 თებერვალი, 1998წ., №1257) მე-9 მუხლითაც, რომლის შესაბამისად „ყველა თანასწორია კანონისა და სასამართლოს წინაშე – რასის, ეროვნების, ენის, სქესის, სოციალური წარმოშობის, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, რწმენის, აგრეთვე სხვა გარემოებების მიუხედავად.“

კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპის განხორციელება უზრუნველყოფილია თარჯიმნის მონაწილეობით იმ ბრალდებულის, ეჭვმიტანილის ან პროცესის სხვა მონაწილისთვის, რომელმაც არ იცის სამართალწარმოების ენა. ამასთან, სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე თარჯიმნის შრომის ანაზღაურებას სახელმწიფო უზრუნველყოფს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 და 94-ე მუხლებით).

თარჯიმნის მონაწილეობა გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსითაც (14 ნოემბერი, 1997წ., №1106), ამასთან, მისი მომსახურების საზღაური გადაიხდება იმ მხარის მიერ, ვის საწინააღმდეგოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება (მუხლები 9.4 და 53.1).

54. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (25 ივნისი, 1999წ., №2181) მიხედვით, ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირის ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობისას, პირს, რომელმაც განცხადება ან სხვა დოკუმენტი წარადგინა არასახელმწიფო ენაზე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიეცემა ვადა დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის წარმოსაგენად; ამასთან, კოდექსით დადგენილი ვადები დაცულად ითვლება (მუხლი 73).

55. საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის შესაბამისად, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

56. 2003 წლის 6 ივნისს ძალაში შევიდა სისხლის სამართლის კოდექსის 142¹ მუხლი. ეს მუხლი დანაშაულად აცხადებს რასობრივ ნიადაგზე დისკრიმინაციას, როგორც ქმედებას ჩადენილს ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, სოციალური

კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, ანდა იმავე ნიშნით ადამიანისთვის უპირატესობის მინიჭება ისჯება თავისუფლების სამ წლამდე აღკვეთის ვადით. იგივე ქმედება, ჩადენილი სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

57. რასობრივ, რელიგიურ, ეროვნულ ან ეთნიკურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაული მიიჩნევა, როგორც დამამძიმებელი გარემოება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ უმრავლეს დანაშაულებებთან მიმართებაში: მუხლი 109 (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში), მუხლი 117 (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება), მუხლი 126 (ძალადობა), მუხლი 258-ე (მიცვალებულისადმი უპატივცემულობა). გარდა ამისა, დანაშაულის ჩადენის რასობრივი მოტივი, როგორც დამამძიმებელი გარემოება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის ახლად მიღებულ მუხლებში, რომლებიც წამებას შეეხება: მუხლი 144¹ (წამება), მუხლი 144³ (დამამძიმებელი ან არაადამიანური მოპყრობა). მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებული სპეციფიკური დებულებები არ ყოფილა შემუშავებული, სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები უზრუნველყოფენ რასობრივი მოტივით ჩადენილი დანაშაულის ადეკვატურ დასჯას.
58. სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი, კონსტიტუციის მე-14 მუხლის საფუძველზე აღიარებს პირის თანასწორობას კანონის წინაშე. ეს კონსტიტუციური პრინციპი სისხლის სამართლის კოდექსის 142¹-ე მუხლთან ერთად წარმოადგენს სერიოზულ გარანტს რასობრივ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ.
59. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლი კრძალავს გენოციდს, რომელიც განიმარტა, როგორც: „ქმედება, ჩადენილი შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატა ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, მათთვის ცხოვრების მძიმე პირობების განზრახ შექმნით, შობადობის ძალით შემცირებით ან ბავშვის იძულებით გადაცემით ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში.“
60. 2003 წლის 14 აგვისტოს შევიდა ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსის 408-ე მუხლში (დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ). ცვლილებამდე მუხლი შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: „დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ესე იგი ნებისმიერი ქმედება, ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობაზე ან პირებზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატიური თავდასხმის ფარგლებში, რაც გამოიხატა მკვლელობით, ადამიანთა მასობრივი განადგურებით, დეპორტაციით და სხვა არაჰუმანური ქმედებით, რომელიც ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობას.“ ცვლილების შედეგად, მუხლი გაივრცო. ახალი ვერსია კრძალავს რასობრივ დისკრიმინაციასა და შეუწყნარებლობას: „დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ესე იგი ნებისმიერი ქმედება, ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობაზე ან პირებზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატიური თავდასხმის ფარგლებში, რაც გამოიხატა მკვლელობით, ადამიანთა მასობრივი

განადგურებით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, დეპორტაციით თავისუფლების უკანონო აღკვეთით, წამებით, გაუპატიურებით, სქესობრივ მორჩილებაში ყოლით, პროსტიტუციის იძულებით, იძულებით ორსულობით, ძალადობითი სტერილიზაციით, პირთა ჯგუფის დევნით პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, სქესობრივი ან სხვა ნიშნის საფუძველზე, აპარტიდითა და სხვა არაჰუმანური ქმედებით, რომელიც ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობას.”

61. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ 258-ე მუხლის (მიცვალებულისადმი უპატივცემულობა) დამამძიმებელ გარემოებად ითვლება იგივე ქმედება ჩადენილი რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური ან ეროვნული შეუწყნარებლობის გამო.
62. წამების აკრძალვა სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით იყო რეგულირებული 2005 წლამდე. წამება განმარტებული იყო, როგორც სისტემატური ცემა ან სხვა ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) ან 118-ე (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. დამამძიმებელ გარემოებად ითვლება იგივე ქმედება ჩადენილი რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური ან ეროვნული შეუწყნარებლობის გამო.
63. იმის გამო, რომ ზემოთხსენებული წამების დეფინიცია არ შეესაბამებოდა საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებს, 2005 წლის 23 ივნისს საქართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანა ცვლილებები, რომლებიც პასუხობენ საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, სახელდობრ, „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ” კონვენციის პირველ მუხლს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ -ე მუხლში წამება განმარტა, როგორც „პირისათვის, მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან საგარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის.”
64. იგივე ქმედება, ჩადენილი ადამიანთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო მიჩნეულია დამამძიმებელ გარემოებად.
65. წამების ახალ განმარტებასთან ერთად შემუშავდა 144³-ე მუხლი, რომელიც დანაშაულად აცხადებს დამამძიმებელ ან არაადამიანურ მოპყრობას. ეს მუხლი დამამძიმებელ ან არაადამიანურ მოპყრობას განმარტავს, როგორც პირის დამცირებას ან იძულებას, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენების მიზნით, რაც მას ძლიერ ფიზიკურ,

ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს. ანუ ქმედება, რომელიც ჩადენილია ადამიანთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო.

დისკრიმინაციასთან მებრძოლი სამსახურები

66. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა) და 142¹-ე (რასობრივი დისკრიმინაცია) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოძიებას აწარმოებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები, ხოლო გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობას – პროკურატურის ორგანოები.
67. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ეთნიკურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა სწრაფ და ეფექტურ გამოძიებას, რასაც კიდევ უფრო უწყობს ხელს 2005 წლის 25 მარტის საკანონმდებლო ცვლილებები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამოძიებელი/პროკურორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია დაიწიოს წინასწარი გამოძიება. წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველია შეტყობინება დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლებიც გამოძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს ფიზიკურმა ანდა იურიდიულმა პირმა, სახელმწიფო ან თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებმა, თანამდებობის პირებმა, ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებმა, ბრალის აღიარებით გამოცხადებულმა პირმა, ანდა ისინი მოდიებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. აგრეთვე უშუალოდ სისხლის სამართლის პროცესის ორგანოს მიერ საქმის გამოძიებისას აღმოჩენილი ცნობები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ორგანოს წარმომადგენელი დანაშაულის თვითმხილველი ან დაზარალებულია, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას გამოვლენილი ცნობები. (სსსსკ, მუხლი 263)
68. დისკრიმინაციასთან მებრძოლ სამსახურებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამშრომელთა ტრენინგს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. საქართველოს პროკურატურის ტრენინგ-ცენტრი ამ კუთხით აწარმოებს ინტენსიურ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უმცირესობათა უფლებებს და ასევე ყურადღებას ამახვილებს მათი დაცვის აუცილებლობაზე.
69. გარდა ამისა, საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი აყალიბებს პროკურატურის მუშაკთა ქცევის ისეთ სტანდარტებს, რომლებიც შეესაბამება საჯარო ინტერესს. კოდექსის მიზანია პროკურატურის მუშაკთა ისეთი ქცევის ნორმების დამკვიდრება, რომლებიც ხელს უწყობენ თანამდებობის პირის პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის პრინციპების განმტკიცებას; სამართლიანი, ეფექტური, მიუკერძოებელი და კვალიფიციური სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას; მართლმსაჯულების უპირობო და ეფექტური აღსრულების მიზნებისა და ამოცანების შესრულებას; პროფესიულ და პირად საქმიანობაში პროკურატურის მუშაკის მიერ კანონის მოთხოვნების განუხრეველ დაცვას; ადამიანის უფლებათა დაცვას

საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად. ეთიკის კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დისკრიმინაციის აკრძალვაზე. კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, პროკურატურის მუშაკი ვალდებულია ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრას.

70. პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ამ სტრუქტურებში მოქმედი ადამიანის უფლებათა სამმართველოები. მათი ამოცანაა მონიტორინგი გაუწიოს ეროვნულ და რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებათა ეფექტურ გამოძიებას. სამმართველოები ასევე სწავლობენ გამოძიების პროცესის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობას და რეკომენდაციებს იძლევიან ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 5

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეუქმნან აუცილებელი პირობები იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მათი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის.

2. იმ ზომებისათვის ზიანის მიუყენებლად, რომელთა მიღებაც ხდება მათი ზოგადი ინტეგრაციული პოლიტიკის შესაბამისად, მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის განხორციელებისაგან, რომლებიც მიზნად ისახავენ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ასიმილაციას მათი სურვილის წინააღმდეგ და უნდა დაიცვან ეს პირები ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც მიზნად ისახავს ამგვარ ასიმილაციას.

71. საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გადრმაგებას. კონსტიტუციის 38-ე მუხლით, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითაროს თავისი კულტურა, ისარგებლოს დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

72. კანონი „რეკლამის შესახებ“ ენასთან დაკავშირებით გარკვეულ მოთხოვნებს ადგენს საქონლის რეკლამირებისას. კერძოდ, 4.2-ე მუხლის შესაბამისად, რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე.

73. კანონი „მეწარმეთა შესახებ“ არ ადგენს რაიმე ვალდებულებას საწარმოთა სახელწოდების შერჩევისას. უფრო მეტიც, კანონის 6.5-ე მუხლის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების ან კოოპერატივის საფირმო სახელწოდება შეიძლება იყოს ფანტაზიის ნაყოფი.
74. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა საკანონმდებლო ინიციატივის წესით მოამზადა კანონპროექტები „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე“ და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე“. ცვლილებათა პაკეტი ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებულ, უცხოელ ან მოქალაქეობის არმქონე ყველა პირს აძლევს უფლებას მშობლიურ ენაზე გამოიყენოს არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდება, აგრეთვე წარწერები, ეთნიკური ელემენტები და სხვა პირადი ხასიათის ინფორმაცია. ამასთან, არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდება უნდა იქნას ტრანსლიტერირებული ქართულად, საინფორმაციო წარწერებს თან უნდა ახლდეს თარგმანი ქართულ ენაზე.

სახელმწიფო და არასახელმწიფო ენების გამოყენება განათლების სფეროში

75. საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე – აფხაზური (კონსტიტუციის მე-8 მუხლი).
76. სახელმწიფო ენის პოლიტიკა განათლების სფეროში ძირითადად რეგულირდება საქართველოს კანონით “ზოგადი განათლების შესახებ“. ამ კანონის მეოთხე მუხლით განსაზღვრულია სწავლების ენა: „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — ქართული ან აფხაზური.“
77. საქართველოს მოქალაქეებს, რომელთათვის ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — ორივე სახელმწიფო ენისა.
78. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლება განხორციელდეს უცხოურ ენაზე. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — ორივე სახელმწიფო ენისა.
79. ამავე კანონის მე-7 და მე-9 მუხლებით გარანტირებულია ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა: „7.1. სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის მიერ მის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს ზოგადი განათლების სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლებას.“
80. 7.2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების განხორციელება შეუძლებელია სტანდარტული ვაუჩერის მეშვეობით, სახელმწიფო ასეთ

მოსწავლეებს უზრუნველყოფს გაზრდილი ვაუჩერით”; „9.1. ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის. დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა.”

81. ზოგადი განათლების კანონი იცავს ყველა მოსწავლეს ყოველგვარი ძალადობისაგან და აძლევს მშობლიურ ენაზე გამოხატვის თავისუფლებას:
- “13.2. დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება. ეს ნორმა არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსააკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.
 - 13.6. სკოლა ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შემწეობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა.
 - 13.7. სკოლა თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება.
 - 14.1. მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოიძიონ, მიიღონ, შექმნან, შეინახონ, დაამუშაონ ან გაავრცელონ ნებისმიერი ინფორმაცია და იდეები, აგრეთვე გამოიყენონ სკოლის რესურსები ინფორმაციისა და იდეების მოსაძიებლად, მისაღებად, შესაქმნელად, შესანახად, დასამუშავებლად ან გასავრცელებლად, საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.
 - 14.2. მოსწავლეს უფლება აქვს გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა”.

სახელმწიფო ენის პოლიტიკა

82. საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის 37-ე დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების” მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ1“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს სახელმწიფო ენობრივ პოლიტიკას, ხელს უწყობს სახელმწიფო ენის სწავლებას, თვალყურს ადევნებს მის სწორ გამოყენებას.

ამავე პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამინისტრო ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო ენის – ქართულის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აგრეთვე, აფხაზურის განვითარებას.

დებულების შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ეროვნული და რეგიონალური პროგრამების დეპარტამენტი ახდენს სახელმწიფო ენის პოლიტიკისა და საგანმანათლებლო პროცესის სინქრონიზაციას, ხელს უწყობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის გაგრძელებას სამოქალაქო ინტეგრაციის შესაბამისი პროექტების დასახვა/ განხორციელების გზით და ეროვნულ უმცირესობათა ენების დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას.

სახელმწიფოს დამოკიდებულება რელიგიასთან

- 83. კონსტიტუციის მე-9 მუხლით, სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას. ამასთან, აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება 2002 წლის 14 ოქტომბრის კონსტიტუციური შეთანხმებით.
- 84. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი უზრუნველყოფს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ. კონსტიტუცია კრძალავს აღნიშნული თავისუფლებების შეზღუდვას საომარი და საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი. ამ თავისუფლებათა შეზღუდვის ერთადერთი საფუძველი შესაძლოა იყოს მათი გამოვლინებისას სხვათა უფლებების შელახვა.

მუხლი 6

1. მხარეები წაახალისებენ ტოლერანტობისა და კულტურათშორისი დიალოგის სულისკვეთებას და მიიღებენ ეფექტურ ზომებს მათ ტერიტორიებზე მცხოვრებ ყველა პირს შორის ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მხარდასაჭერად, კერძოდ, განათლების, კულტურისა და მასმედიის სფეროში, მიუხედავად ამ პირების ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილებისა.

2. მხარეები იღებენ ვალდებულებას მიიღონ შესაბამისი ზომები იმ პირების დასაცავად, რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ მუქარას ან დისკრიმინაციას, მტრულ დამოკიდებულებას ან ძალადობას მათი ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილებისდა გამო.

- 85. საქართველოს კონსტიტუციის 34-ე და 38-ე მუხლები უზრუნველყოფენ კონვენციის მეექვსე მუხლში მოცემული პრინციპების დაცვას.
- 86. „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს კულტურული თვითმყოფადობის დაცვისა და მხატვრულ-ესთეტიკური ორიენტაციის თავისუფლად დაცვის უფლება. კანონი აგრეთვე ამკვიდრებს კულტურის, კულტურულ მემკვიდრეობის პრიორიტეტულობას ხალხის, თითოეული მოქალაქის კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინებასა და გამდიდრებაში, მთელი საზოგადოების ზნეობრივ სრულყოფასა და ჰუმანიზაციაში.

87. ინტერეთნიკური თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის გასავითარებლად, ასევე ტოლერანტობის კულტურის გასაღრმავებლად საქართველოში შემდეგი სახის ღონისძიებები განხორციელდა:
- 2004 წლიდან ყოველწლიურად საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ახორციელებს პროგრამას ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკები - „პატრიოტები“, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში მცხოვრები 15-22 წლის ყველა ეროვნების ბავშვისა და ახალგაზრდის მონაწილეობას.
 - 2006 წლის მარტიდან სახალხო დამცველის ოფისი გამოსცემს ყოველთვიურ ჟურნალს „სოლიდარობა“, სადაც იბეჭდება სტატიები ეროვნული უმცირესობების პრობლემების, კულტურის, ისტორიისა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებების შესახებ. ჟურნალი გამოდის 3000 ეგზემპლარად და ვრცელდება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მათ შორის ეროვნული უმცირესობების ორგანიზაციებში.
 - სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ ეროვნული უმცირესობების ახალგაზრდა ლიდერებისთვის, დედაქალაქიდან და რეგიონებიდან, 2006 წლის განმავლობაში ჩატარდა სემინარები „ინტეგრაცია და ტოლერანტობა“. 2007 წელს 4 ამგვარი სემინარის ჩატარება იგეგმება.
 - 2006 წელს ქალაქ თბილისის მერიისა და სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მხარდაჭერით, ჩატარდა ტურნირი მინიფეხბურთში - „ტოლერანტობის თასი“. ეს ტურნირი 2007 წლის ნოემბერშიც ჩატარდება და იგი ტრადიციული გახდება.
 - 2006 წელს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ ტოლერანტობის თემაზე შექმნილი საუკეთესო სამხატვრო ნამუშევრის გამოსავლენად თბილისის სკოლებში ჩატარდა სამხატვრო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ, როგორც ქართველი, ისე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლეები.
 - სახალხო დამცველის აპარატი 2007 წლის შემოდგომისათვის გამოსაცემად ამზადებს „საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნების ენციკლოპედიას“, სადაც ასახული იქნება საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ისტორია, კულტურა, ტრადიციები, ცნობილი ადამიანები და სხვა საინტერესო ინფორმაცია. მათ შორის იქნება ინფორმაცია ეროვნული უმცირესობების მიერ საქართველოს ისტორიაში, ხელოვნებაში, კულტურაში, მეცნიერებაში, სპორტში და ცხოვრების სხვა სფეროებში შეტანილი წვლილის შესახებ. ენციკლოპედიას ამზადებენ საქართველოს სამეცნიერო წრეებისა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები.
 - ქალაქ თბილისის მერიის, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს გაეროს ასოციაციის მხარდაჭერით, 2007 წლის სექტემბერში ქ. თბილისის ძველ უბანში (აბანოთუბანი) ჩატარდება ტოლერანტობის ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი. ფესტივალზე საქართველოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ წამოადგინონ საკუთარი შემოქმედება, ეროვნული ცეკვები, სიმღერები, მხატვრობა, კულინარია, ხალხური რეწვის ნიმუშები, სხვა ეთნოგრაფიული თავისებურებანი და ტრადიციები.

88. “საზოგადოებრივი მაუწყებელი” 2007 წლის აპრილიდან იწყებს ახალ თოქ-შოუს, რომლის მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა. გადაცემა ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციასთან თანამშრომლობით USAID-ის პროგრამის ფარგლებში „სამოქალაქო ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში“. ადვილად აღსაქმელი, გასართობი ფორმით გადაცემა მაყურებელს მიაწვდის ინფორმაციას და ხელს შეუწყობს დისკუსიებს უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობით მათთვის მნიშველოვან საკითხებზე. თოქ-შოუ ქართულენოვანია და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან ერთად ფართო, ქართულენოვან აუდიტორიასაც მოიზიდავს. პროექტი ამერიკელი ჟურნალისტისა და პროდიუსერის სტენ მეთიუს მონაწილეობით შემუშავდა, რომელსაც აშშ-ში სატელევიზიო დებატებსა და უმცირესობებისათვის გამიზნულ გადაცემებზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. გადაცემის ქრონომეტრაჟი 50 წუთია და ის კვირაში ერთხელ გავა “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ეთერში.

მუხლი 7

მხარეები უზრუნველყოფენ ყველა იმ პირის მშვიდობიანი შეკრების, გაერთიანების, გამოხატვის და აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების პატივისცემას, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას.

89. საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი ადგენს წინასწარი ნებართვის გარეშე შეკრების უფლებას საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ. აღნიშნული უფლება არ ვრცელდება სამხედრო ძალებისა და შსს-ში მომუშავე პირებზე. ხელისუფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

კანონით „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ გათვალისწინებულია ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება. დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისას და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც წარმოადგენს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს (კანონის მე-4.2 მუხლი).

90. საქართველოს კონსტიტუციის 26.2-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ შექმნან პოლიტიკური პარტიები და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში. კონსტიტუციით აკრძალულია ისეთი პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების), შემოქმედებითი კავშირების რეგისტრაციას. რაც შეეხება სხვა

საზოგადოებრივ გაერთიანებებს, საქართველოს “სამოქალაქო კოდექსში” შეტანილი ცვლილებების თანახმად, 2006 წლის 1 სექტემბრიდან „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციას ახორციელებს საგადასახადო ორგანო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადგილმდებარეობის მიხედვით“.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის საკითხები რეგულირდება საქართველოს “სამოქალაქო კოდექსით”. აღნიშნული კოდექსის 28-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია ხორციელდება სარეგისტრაციო განაცხადის საფუძველზე, რომელიც მოწმდება სანოტარო წესით“. ამავე კოდექსის 29-ე მუხლში მითითებულია ყველა იმ აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალი, რაც უნდა დაერთოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარეგისტრაციო განაცხადს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლით განსაზღვრულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები. კერძოდ: არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, ფილიალს (წარმომადგენლობას) შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე (ცვლილებებით რეგისტრაციაზე), თუ: ა) რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) მიზნები ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს; ბ) არსებობს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობები (საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამსობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს); გ) არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პირობები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონი, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი) გათვალისწინებული იურიდიული პირისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისათვის დამახასიათებელი აღნიშვნები, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება არ შეიძლება ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებას); დ) რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი სარეგისტრაციო განაცხადი არ არის შესრულებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლი განსაზღვრავს მონაცემებს, რომელსაც უნდა შეიცავდეს სარეგისტრაციო განაცხადი); ე) სარეგისტრაციო განაცხადს არ ერთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტები ან

აღნიშნული დოკუმენტები არასრულადაა წარდგენილი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს იმ დოკუმენტების ჩამონათვალს, რომლებიც უნდა დაერთოს სარეგისტრაციო განაცხადს); ე) სარეგისტრაციო განაცხადისათვის თანდართული დოკუმენტები არ არის გაფორმებული (დადასტურებული) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. იმ შემთხვევაში თუ, არსებობს ჩამოთვლილი პუნქტებიდან „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ პუნქტებით გათვალისწინებული პირობები, მარეგისტრირებელი ორგანო განმცხადებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აძლევს ხარვეზის აღმოსაფხვრელად ვადას არა უმეტეს 2 დღისა. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი, მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

91. მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებების რეგისტრაციის საკითხები განისაზღვრება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, რომლის 22-ე მუხლის მიხედვით: 1. პარტიის რეგისტრაცია ხდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში; 2. პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარედგინება კანონში მითითებული დოკუმენტები (მათ შორის პარტიის არანაკლებ 1000 წევრის სია, სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, პირადობის მოწმობის ნომრის, სამუშაო ადგილის, საცხოვრებელი ადგილის მისამართისა და ტელეფონის მითითებითა და მათი ხელმოწერებით).

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის მიხედვით: 1. პარტიის შესაქმნელად მოქალაქეთა არანაკლებ 300-კაციანი ჯგუფი წინასწარი ნებართვის გარეშე ატარებს პარტიის დამფუძნებელ ყრილობას (კონფერენციას, კონგრესს, ასამბლეას ან სხვ.); 2. დამფუძნებელი ყრილობა იღებს პარტიის წესდებას; 3. დამფუძნებელ ყრილობას ესწრება და მის ოქმს ამოწმებს ნოტარიუსი.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ამოწმებს წარდგენილი დოკუმენტების სისწორეს და მათი წარდგენიდან ერთი თვის ვადაში წყვეტს პარტიის რეგისტრაციის საკითხს. პარტიის მარეგისტრირებელი ორგანო წარდგენილი დოკუმენტების განხილვის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) რეგისტრირებულ იქნეს; ბ) უარი ეთქვას რეგისტრაციაზე.

ამასთან, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლი განსაზღვრავს, რომ „დაუშვებელია პარტიის შექმნა რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნის მიხედვით“.

92. ამ მხრივ აღსანიშნავია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სარეგისტრაციო კოლეგიის 1999 წლის 2 აპრილის №5/4 დადგენილება, რომლითაც სრულიად საქართველოს სახალხო პარტია „ვირქ“-ს (ორგანიზაციის წევრები ძირითადად სომხებით კომპაქტურად დასახლებული ჯავახეთის მაცხოვრებლები იყვნენ) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე რეგისტრაციისათვის წარდგენილ დოკუმენტებში არსებული სამართლებრივი ხარვეზების გამო. კერძოდ: სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, დარღვეული იყო „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების

შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნები; ამავე კანონის მე-14 მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვით, „1. პარტიის სახელწოდება, მისი შემოკლებული დასახელება და სიმბოლიკა არ შეიძლება ემთხვეოდეს სხვა, უკვე რეგისტრირებული ან ლიკვიდირებული პარტიის სახელწოდებას, შემოკლებულ დასახელებასა და სიმბოლიკას, თუ ამ პარტიის ლიკვიდაციის დღიდან 4 წელზე ნაკლებია გასული; 2. აკრძალულია პარტიის სახელწოდების, შემოკლებული დასახელებისა და სიმბოლიკის გამოყენება ამ პარტიის ნებართვის გარეშე“. გარდა ამისა, პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ოქმი მოითხოვდა მთელ რიგ სერიოზულ შესწორებებს; კანონმდებლობით დადგენილი წესით არ იყო წარმოდგენილი პარტიის 1000 წევრის სია; პარტიის წესდების თითქმის ყველა პუნქტი მოითხოვდა შესწორებას მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

93. საქართველოს იუსტიციის სამინისტროში დაცული მონაცემების მიხედვით, სხვადასხვა პერიოდში რეგისტრაციაზე უარი ეთქვა მოქალაქეთა ხუთ პოლიტიკურ გაერთიანებას (პარტიას), სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში არსებული სამართლებრივი ხარვეზების გამო.

94. ამჟამად საქართველოში ათეულობით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ეწევა აქტიურ საქმიანობას. მათი ნაწილი ეროვნული უმცირესობების დაცვის მიმართულებითაც მუშაობს, როგორც დედაქალაქში, ისე ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში. ეროვნული უმცირესობების მიერ დაარსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები თავის საქმიანობაში ძირითად აქცენტს ეროვნული უმცირესობების წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტაზე აკეთებენ.

მუხლი 8

მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ თითოეულ პირს, ვინც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება გამოამყლავნოს მისი რელიგია ან რწმენა და შექმნას რელიგიური დაწესებულებები, ორგანიზაციები და ასოციაციები.

95. კონსტიტუციის მე-19 მუხლის მიხედვით დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობისა ან რწმენის გამო, ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. აგრეთვე დაუშვებლად აცხადებს ამ თავისუფლებათა შეზღუდვას, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

96. სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლი დანაშაულად აცხადებს „რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლას ძალადობით ან ძალადობის მუქარით ან მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფით.“ ასეთი ქმედება ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

ამავე კოდექსის 156-ე მუხლი დანაშაულად აცხადებს ადამიანის დევნას სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. 156-ე მუხლით გათვალისწინებული

დანაშაული ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, დანაშაულია პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რომელიც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ან თავისუფლების შეზღუდვით ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

97. 2005 წლის 6 აპრილს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლში, რომლის საფუძველზეც რელიგიურ გაერთიანებებს მიეცათ საშუალება დარეგისტრირდნენ, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რაც გამორიცხავს სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური გაერთიანების საქმიანობაში ჩარევის შესაძლებლობას.

98. “ვარდების რევოლუციის” შემდეგ რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ შევიწროების ფაქტები მნიშვნელოვნად შემცირდა. რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ აგრესიით განთქმული, საპატრიარქოდან განკვეთილი მღვდელი ბასილი მკალავიშვილი და პეტრე ივანიძე, ასევე რელიგიურ ექსტრემისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელი პაატა ბლუაშვილი დააკავეს, რომლებიც ამჟამად სასჯელს იხდიან რელიგიური შევიწროების გამო.

მუხლი 9

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ თითოეული იმ პირის გამონახვის თავისუფლება, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, ასევე მოიცავს თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებები და მიიღოს და გასცეს ინფორმაცია და იღებენ უმცირესობის ენაზე სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად, მხარეები, მათი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში უზრუნველყოფენ, რომ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები არ განიცდიდნენ დისკრიმინაციას მასმედიის მათთვის ხელმისაწვდომობის მხრივ.

2. 1-ლი პუნქტი არ შეუშლის ხელს მხარეებს, დისკრიმინაციის გარეშე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, მოითხოვონ ხმოვანი რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის ან კინოწარმოების ლიცენზირება.

3. მხარეები ხელს არ შეუშლიან იმ პირების მიერ ბეჭდვითი მასმედიის საშუალებების შექმნას და გამოყენებას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს. ხმოვანი რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის სამართლებრივ ჩარჩოებში და 1-ლი პუნქტის გათვალისწინებით, ისინი მაქსიმალურად უზრუნველყოფენ, რომ იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მინიჭებული ჰქონდეთ მათი მასმედიის საშუალებების შექმნისა და გამოყენების უფლება.

4. მათი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში, მხარეები მიიღებენ ადეკვატურ ზომებს იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ მასმედიისადმი ხელმისაწვდომობა იმ

პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს და ხელი შეუწყონ ტოლერანტობას და დაამკვიდრონ კულტურული პლურალიზმი.

99. საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლი ადგენს ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლებას და დაუშვებლად აცხადებს შემოქმედებით პროცესში ჩარევასა და შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურას. ამასთან, შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების შესაძლებელია, თუ მისი გავრცელება ღახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.

100. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი სრულად და უპირობოდ იცავს მოქალაქეთა აზრს. ამასთანავე, აღიარებს და იცავს გამოხატვის თავისუფლების პრინციპს, აგრეთვე ადგენს გამოხატვის თავისუფლების შინაარსს, რომელიც გულისხმობს:

- ა) აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას;
- ბ) პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას;
- გ) ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას;
- დ) ცენზურის დაუშვებლობას, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს, ჟურნალისტის უფლებას დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები;
- ე) სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიურ თავისუფლებას;
- ვ) ხელოვნების, შემოქმედებისა და გამოგონების თავისუფლებას;
- ზ) ნებისმიერ ენაზე მეტყველების, ნებისმიერი დამწერლობის გამოყენების უფლებას;
- თ) ქველმოქმედების უფლებას;
- ი) მხილების თავისუფლებას და მამხილებელთა დაცვას;
- კ) თავისუფლებას იძულებისაგან, გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენის, აღმსარებლობის, სინდისისა და მსოფლმხედველობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, აგრეთვე ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება გახდეს მისი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფუძველი.

101. მასმედია და ნებისმიერ მოქალაქეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (III თავი) აძლევს უფლებასა და შესაძლებლობას გამოითხოვონ და მიიღონ მათთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია საჯარო დაწესებულებიდან, თუ იგი არ შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ თუ პირად საიდუმლოების კატეგორიას მიკუთვნებულ ინფორმაციას.

102. მაუწყებლობის განხორციელების წესი დადგენილია კანონით „მაუწყებლობის შესახებ“. მაუწყებლობის განხორციელება ხდება ლიცენზირების საფუძველზე. მაუწყებლობის სფეროს არეგულირებს კომისია („საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“), რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს სალიცენზიო პირობებს, გასცემს, მოქმედებას აჩერებს, ანახლებს ან აუქმებს ლიცენზიებს.

კანონის მე-16 მუხლი ადგენს “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ვალდებულებას ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას და სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, მათ შესახებ და მათ მიერ მომზადებული პროგრამები.

103. ბეჭდვითი მედია-საშუალების დაფუძნება ხდება სამეწარმეო ორგანიზაციების მსგავსად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

104. ცენტრალური ტელეარხების გარდა, სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, ადგილობრივი ტელეარხებიც მაუწყებლობს, რომელთა გავრცელების არეალი მხოლოდ ამ რეგიონებით შემოიფარგლება. ტელეარხი “ატვ12” სომხურ ენაზე მაუწყებლობს და მისი გავრცელების არეალი ახალქალაქის რაიონს და ნაწილობრივ ნინოწმინდის რაიონსაც მოიცავს. არხი დღეში მხოლოდ 3 საათს მაუწყებლობს. არხის ეთერში კვირაში 5-ჯერ გადის საინფორმაციო გამოშვება, რომლისთვისაც სიუჟეტებს შტატში აყვანილი ჟურნალისტები ამზადებენ. ჯავახეთში ასევე მოღვაწეობს ადგილობრივი ტელევიზია „ფარვანა ტვ“. თუმცა “ატვ12” და „ფარვანა ტვ“ არ წარმოადგენენ ლიცენზირებულ კომპანიებს და მაუწყებლობენ ულიცენზიოდ.

სამცხე-ჯავახეთში მოქმედებს შპს „TV იმპერია“, რომლის ეთერში 23:00 საათზე გადის სომხურ ენაზე ნათარგმნი, “რუსთავი 2”-ის საინფორმაციო პროგრამა „კურიერი“.

105. “მარნეული TV” აზერბაიჯანულ ენაზე მაუწყებლობს და მისი გავრცელების არეალი მარნეულის რაიონს მოიცავს. არხი არარეგულარულად მაუწყებლობს. მის ეთერში საინფორმაციო გამოშვება კვირაში მხოლოდ ერთხელ, პარასკევობით გადის. საინფორმაციო გამოშვების 20-წუთიან ქრონომეტრაჟში, ორიგინალურ სიუჟეტებს მხოლოდ 10 წუთი უჭირავს, რომელთა დიდი ნაწილი ცენტრალური ტელეკომპანიების პროდუქციაა, დანარჩენი დრო კი EURONEWS-ის ნათარგმნი სიუჟეტებით ივსება. ქვემო ქართლში მოქმედი კიდევ ერთი “ტელეკომპანია ქვემო ქართლი” მაუწყებლობს ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე.

106. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აფინანსებს გაზეთებს: აზერბაიჯანულენოვან „გურჯისტანს“, სომხურენოვან „ვრასტანს“, რუსულენოვან „სვაბოდნაია გრუზიას“. გარდა ამისა, ეროვნული უმცირესობების თემაზე საქართველოში მოქმედი ორგანიზაციები პერიოდულად გამოსცემენ გაზეთებს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

107. “საზოგადოებრივი მაუწყებლის” მისიაა ხელი შეუწყოს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას, საზოგადოების განათლების დონის ამაღლებას, მრავალფეროვნებასა და სოციალური ინტეგრაციას, ასევე საზოგადოებისთვის კულტურული ფასეულობების მიწოდებას.

“საზოგადოებრივი მაუწყებელი” სამეურვეო საბჭოს მიერ ყოველწლიურად განსაზღვრული პროგრამული პრიორიტეტებით ხელმძღვანელობს. 2007 წლის ერთ-ერთი პროგრამული პრიორიტეტია „საქართველოს სხვადასხვა ერის, რეგიონისა და ხალხის წარმოჩენა და განსხვავებების ჩვენებით, სოციალური ერთობისა და შექმნარებლობის დამკვიდრება.”

108. საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების საკითხების გაშუქების სტანდარტები განსაზღვრულია “საზოგადოებრივი მაუწყებლის” შიდა ქცევის კოდექსით, რომელიც 2006 წლის დეკემბერში იქნა მიღებული (დოკუმენტი იხ. http://www.gpb.ge/angarishi_3.php?lang=geo&lm_id=3&sub_id=4). ქცევის კოდექსი არის ძირითადი პროფესიული სტანდარტებისა და ჟურნალისტური ეთიკის პრინციპების კრებული, რომლითაც “საზოგადოებრივი მაუწყებლის” თანამშრომლები ხელმძღვანელობენ. კოდექსში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიზანია „სრულფასოვნად და სამართლიანად გააშუქოს საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხი და კულტურა, პატივი სცეს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.”

109. თვითრეგულირების მექანიზმების დასანერგად 2006 წლის 10 ივლისიდან საზოგადოებრივ მაუწყებელში შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფის უმთავრესი ფუნქცია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თანამშრომლებში პროფესიული ეთიკის სტანდარტების დანერგვა და ამ სტანდარტების შესრულებაზე მუდმივი მეთვალყურეობის განხორციელებაა. გარდა ამისა, მონიტორინგის ჯგუფი უფლებამოსილია ამ სტანდარტების დარღვევასთან დაკავშირებით ფიზიკური თუ იურიდიული პირებისგან შესული საჩივრები შეისწავლოს და მათზე რეაგირება მოახდინოს. მონიტორინგის ჯგუფის შექმნიდან დღემდე შესულია 3 საჩივარი, თუმცა არც ერთი მათგანი ეროვნულ უმცირესობებს არ უკავშირდება.

110. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების დეპარტამენტი ამზადებს საინფორმაციო გამოშვება „მოამბეს“ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისათვის გასაგებ ხუთ ენაზე: აფხაზურად, ოსურად, სომხურად, აზერბაიჯანულად და რუსულად. სატელევიზიო ნაციონალური საინფორმაციო გამოშვება 25 წუთიანია და ეთერში 16.00 სთ-ზე გადის. გამოშვებების თანმიმდევრობა კვირის დღეების მიხედვით ასეთია: ორშაბათი – საინფორმაციო გამოშვება აფხაზურ ენაზე, სამშაბათი – ოსურ ენაზე, ოთხშაბათი – სომხურ ენაზე, ხუთშაბათი – აზერბაიჯანულ ენაზე და პარასკევი – რუსულ ენაზე.

111. ნაციონალური „მოამბე“ ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი საინფორმაციო ხასიათისაა და კვირის მანძილზე განვითარებულ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს ასახავს. მეორე ნაწილი რამდენიმე რუბრიკისგან შედგება - რეგიონი, ხალხის ხმა, ცნობილი ადამიანები, ახალგაზრდობა და სხვა. გათვალისწინებულია გასართობ-შემეცნებითი ბლოკიც. მუდმივად მზადდება სოციალური სიუჟეტები მოქალაქეების წერილებისა და სატელეფონო ზარების შესაბამისად. მოქალაქეთა გამოხმაურებაზე რეაგირების მეშვეობით შუქდება საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების პრობლემები.

112. “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ეთერში საზოგადოებრივი ინტერესებისა და მოთხოვნების წარმოდგენის მიზნით შექმნილია რვა საზოგადოებრივი საბჭო,

მათ შორის ეთნიკური უმცირესობების საბჭო. საზოგადოებრივი საბჭოები შეიწავლიან საზოგადოებისათვის აქტუალურ, პრობლემურ საკითხებს თავიანთი საქმიანობის სფეროების მიხედვით და შეიმუშავენ რეკომენდაციებს “საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის”.

- 113. “საზოგადოებრივ მაუწყებელთან” არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო. საბჭო შეიქმნა 2006 წელს. მასში ათი ორგანიზაციაა გაერთიანებული. საბჭო იკრიბება ორ თვეში ერთხელ. საზოგადოებრივი მაუწყებელი მუდმივად ითვალისწინებს საკუთარ პროგრამებში საბჭოს რჩევებს ეროვნული უმცირესობებისთვის აქტუალური საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით.
- 114. “საზოგადოებრივ მაუწყებელთან” არსებული რელიგიათა საბჭო. საბჭო შეიქმნა 2006 წელს. მასში ექვსი ორგანიზაციაა გაერთიანებული. საბჭო იკრიბება ორ თვეში ერთხელ.
- 115. “საზოგადოებრივ მაუწყებელთან” არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო. საბჭო შეიქმნა 2006 წელს. მასში ექვსი ორგანიზაციაა გაერთიანებული. საბჭო იკრიბება ორ თვეში ერთხელ.

საზოგადოებრივი რადიო

- 116. საზოგადოებრივი რადიოს ეთერში ყოველდღე გადის ხუთწუთიანი საინფორმაციო გამოშვებები აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. საინფორმაციო გამოშვებებში შუქდება მიმდინარე დღის მთავარი მოვლენები. ყოველ შაბათს გადის ოცწუთიანი კვირის შემაჯამებელი საინფორმაციო გამოშვება რუსულ ენაზე.

გარდა ამისა, საზოგადოებრივი რადიოს ეთერში ყოველ ხუთშაბათს 16.05 სთ-ზე ეთერშია კობა ჩოფლიანის საავტორო გადაცემა „ჩვენი საქართველო“. გადაცემაში შუქდება საქართველოში მცხოვრები ეროვნული და რელიგიური ჯგუფების ისტორია, ტრადიციები და კულტურა, ეთნიკური და რელიგიური თვითმყოფადობის თემატიკა. გადაცემა მიზნად ისახავს ქვეყანაში სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესისა და ღია საზოგადოების ღირებულებათა განმტკიცების ხელშეწყობას.

მუხლი 10

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ რომ, ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, თავისუფლად და ყოველგვარი ჩარევის გარეშე, აქვს უფლება გამოიყენოს მისი უმცირესობის ენა კერძოდ და საჯაროდ, ზეპირად და წერისას.
2. იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირები, თუკი ეს პირები მოითხოვენ და სადაც ეს მოთხოვნა პასუხობს რეალურ საჭიროებას, მხარეები ეცდებიან მაქსიმალურად უზრუნველყონ ისეთი პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან უმცირესობის ენის გამოყენებას ამ პირების და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთობებში.
3. მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ ყველა პირისათვის, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, უფლება იყოს სასწრაფოდ

ინფორმირებული მისთვის გასაგებ ენაზე მისი დაპატიმრების მიზეზებისა და მის წინააღმდეგ აღძრული ყველა ბრალდების ბუნებისა და მიზეზის შესახებ და დაიცვას თავი ამ ენაზე, აუცილებლობის შემთხვევაში, თარჯიმნის უფასო დახმარებით.

117. საქართველოს კონსტიტუციის 85.2-ე მუხლის შესაბამისად, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე, ხოლო პირს, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა მიეჩინება თარჯიმანი. აღნიშნული პრინციპები გარანტირებულია სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობითაც. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, იმ ბრალდებულს, ეჭვმიტანილს ან პროცესის სხვა მონაწილეს, რომელმაც არ იცის სამართალწარმოების ენა მიეჩინება თარჯიმანი. ამასთან სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე თარჯიმნის შრომის ანაზღაურება სახელმწიფოს ხარჯზე ხდება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 და 94-ე მუხლები).

თარჯიმნის მონაწილეობა უზრუნველყოფილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსითაც (14 ნოემბერი, 1997წ., №1106), ამასთან მისი მომსახურების საზღაური გადაიხდება იმ მხარის მიერ ვის საწინააღმდეგოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება (მუხლები 9.4 და 53.1).

118. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსსკ) 297-ე მუხლის შესაბამისად, დაკითხვის ჩასატარებლად, თუ დაკითხავმა დაადგინა, რომ დასაკითხმა არ იცის სამართალწარმოების ენა, ეჭვმიტანილს/ბრალდებულს დაენიშნება თარჯიმანი. მე-17 მუხლის შესაბამისად, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მისთვის გადასაცემი საგამოძიებო და სასამართლო დოკუმენტები უნდა ითარგმნოს მის მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე.

119. კანონმდებლობა არ აწესებს საპატიმროებში სახელმწიფო ენის გამოყენების ვალდებულებას. კანონი ადგენს სასჯელის აღსრულების პრინციპებს და წესებს. კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მიღებისას ადმინისტრაციამ მას წერილობითი ფორმით მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ ენაზე უნდა გააცნოს მისი უფლებები და მისდამი მოსამსახურეების მოპყრობის წესები, ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის წესები, დისციპლინური და სხვა სახის მოთხოვნები. კანონი ადგენს სასჯელაღსრულების დაწესებულების ვალდებულებას, მსჯავრდებულს, რომელიც ვერ ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, შეუქმნას პირობები მის დასაუფლებლად.

ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისის №2 საპყრობილეში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც არ ფლობენ სახელმწიფო ენას, დაწესებულების სოცმუშაკები ქართული ენის გაკვეთილებს უტარებენ.

120. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, დაწესებულებებში ადმინისტრაციული წარმოების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთში – ასევე აფხაზური. პირს, რომელმაც განცხადება ან სხვა დოკუმენტი წარადგინა არასახელმწიფო ენაზე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიეცემა ვადა დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული

თარგმანის წარმოსადგენად; ამასთან, კოდექსით დადგენილი ვადები დაცულად ჩაითვლება (მუხლი 73).

121. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამუშაო და საქმის წარმოების ენაა საქართველოს სახელმწიფო ენა, ანუ ქართული ენა, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე აფხაზური ენა.

122. „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა მინიჭება ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე. კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, სახელწოდებები ერქმევა:

- ა) ახლად წარმოქმნილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებსა და დასახლებულ პუნქტებს;
- ბ) ახლად წარმოქმნილ ან სახელწოდების არმქონე გეოგრაფიულ ობიექტებს.

დასარქმევად შერჩეული სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს, როგორც ობიექტის ყველაზე ნიშანდობლივ ფიზიკურ-გეოგრაფიულ, ასევე რეგიონის ისტორიულ-კულტურულ ან სამეურნეო-საყოფაცხოვრებო თავისებურებებს და უნდა მიესადაგებოდეს რეგიონის ტოპონიმიკურ სტრუქტურას.

სწავლების ფორმები არაქართულენოვან სკოლებში

123. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სრული ზოგადი განათლების მიღება გულისხმობს ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევას და შესაბამისი დოკუმენტით სახელმწიფოს მიერ ამის დადასტურებას. ამასთან, ამავე კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადი განათლების მიღება შეიძლება ექსტერნის ფორმით. აგრეთვე, ამავე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით, ზოგადი განათლების მიღება შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს ალტერნატიული ფორმებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და შრომითი და ოჯახური პირობების გათვალისწინებით. ზემოთ მოცემული ნორმები ვრცელდება საქართველოში არსებულ ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაზე.

124. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 22 მაისის №452 ბრძანებით დამტკიცებული „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების“ თანახმად, მოსწავლეს განათლების დაძლევა ექსტერნატის ფორმით შეუძლია ქართულ, რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენებზე. ექსტერნები, რომლებიც გამოცდებს აბარებენ რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე, ხოლო გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაშიც აბარებენ შესაბამისი სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით. საგამოცდო ტესტების თარგმნას ქართულიდან რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე უზრუნველყოფს გამოცდების ეროვნული ცენტრი. ამასთან, ექსტერნები, რომლებიც გამოცდებს აბარებენ

რუსულ ენაზე, არ არიან უფლებამოსილი უცხო ენის გამოცდა ჩააბარონ რუსულ ენაში.

125. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის №127 ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გასაგრძელებლად (მიუხედავად სწავლების ენისა) ყველა აბიტურიენტი ვალდებულია ჩააბაროს გამოცდები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, აბიტურიენტის არჩევით ერთ-ერთი უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), ზოგადი უნარები.

ამასთან, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად (მიუხედავად სწავლების ენისა) აბიტურიენტები უფლებამოსილი არიან გამოცდა ზოგად უნარებში, მათემატიკაში, საქართველოს ისტორიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებსა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ჩააბარონ ქართულ ან რუსულ ენაზე, რის შესახებაც მათ უნდა მიუთითონ საგამოცდო განაცხადში.

126. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური. სხვა ენაზე სწავლება, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

სოციალური პროგრამა

127. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 19 ივლისის №140 დადგენილების მიხედვით, მოქალაქეებისათვის, რომლებმაც სრული ზოგადი განათლება მიიღეს: კონფლიქტის ზონებში განთავსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა შვილებისა და კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლებისათვის საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 52-ე მუხლის მე-8 პუნქტის, „საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად: 2006-07 სასწავლო წელს საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ან ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლების დაფინანსებისათვის გამოიყო 390 ათასი ლარი.

სოციალური პროგრამით ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული თანხა შეიძლება გადაეცეს:

- ა) 20 სტუდენტს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ახერბაიჯანულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის თბილისში - არაუმეტეს 10 სტუდენტს;
- ბ) 20 სტუდენტს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის თბილისში - არაუმეტეს 10 სტუდენტს.

2006 წელს იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც დაამთავრეს სომხურენოვანი და ახერბაიჯანულენოვანი სკოლები, გამოყოფილი იყო ასევე 20–20 გრანტი. განაცხადი შეიტანა თორმეტმა სტუდენტმა და ყველამ მიიღო 100%-იანი დაფინანსება, რაც გულისხმობს 4 წლით მათი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის საფასურის დაფარვას.

მუხლი 11

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს მისი გვარისა (პატრონიმი) და პირველი სახელების უმცირესობის ენაზე გამოყენების და მათი ოფიციალური აღიარების უფლება, მათი სამართლებრივი სისტემით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2. მხარეები ვალდებულებას იღებენ აღიარონ, რომ ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება გამოიყენოს მისი უმცირესობის ენობრივი ნიშნები, წარწერები და სხვა პირადი ხასიათის ინფორმაცია, რომელიც შესაძრწნევი იქნება საზოგადოებისათვის.

3. იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მხარეები მათი სამართლებრივი სისტემებისა და საჭიროების შესაბამისად, ასევე სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებების ფარგლებში და მათი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით, ეცდებიან გამოფინონ ტრადიციული ადგილობრივი სახელები, ქუჩის სახელები და საზოგადოებისათვის განკუთვნილი სხვა ტოპოგრაფიული მითითებანი უმცირესობის ენაზეც, როდესაც სახეზეა ამგვარი მითითებების არსებობის საკმარისი მოთხოვნა.

128. სახელისა და გვარის შეცვლის საკითხებს არეგულირებს „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის IX თავი. ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში სახელისა და გვარის ჩაწერასთან დაკავშირებით აღნიშნული კანონმდებლობა რაიმე სახის გამონაკლისს არ ითვალისწინებს. უცხოური (ეროვნულ უმცირესობათა) სახელები და გვარები იწერება ისე, რომ მაქსიმალურად დაცული იქნას მათ ენაზე გამოთქმის წესები, მაგრამ არ არსებობს კონკრეტული სამართლებრივი აქტი, რომელიც ზუსტად დაარეგულირებდა ამ საკითხს. მაგალითად, განსაზღვრავდა, თუ როგორ უნდა ჩაიწეროს ქართული ასოებით რომელიმე ენაზე კონკრეტული ბგერა, რაც რიგ პრობლემებს იწვევს პრაქტიკაში, თუმცა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მაქსიმალურად ხდება მოქალაქის ინტერესების გათვალისწინება. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა

სამოქალაქო რეესტრის წარმოების სამართლებრივი ბაზის რეფორმაზე, რომლის ფარგლებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაგეგმილია შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციის შექმნა.

სახელის და გვარის შეცვლა დასაშვებია ყველა საქართველოს მოქალაქისათვის, განურჩევლად მისი ეროვნებისა. აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის შეზღუდვას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ სახელისა და გვარის შეცვლის საკითხი რეგულირდება აღნიშნული კანონის შესაბამისი ნორმებით.

სახელისა და გვარის შეცვლა, არაქართულენოვანი იქნება იგი თუ ქართულენოვანი, შესაძლებელია ერთ-ერთი შემდეგი მიზეზის არსებობისას: თუ სახელი, გვარი რთულად წარმოსათქმელი, არაკეთილხმოვანი ან დამაკნინებელია; განმცხადებელს სურს მიიღოს ან თავის გვარს შეუერთოს მეუღლის გვარი – თუ ეს არ განხორციელებულა ქორწინების რეგისტრაციისას; განმცხადებელს სურს მიიღოს თავისი ფაქტობრივი აღმზრდელის გვარი; განმცხადებელს სურს დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი – თუ ეს არ განხორციელებულა განქორწინების რეგისტრაციისას; განმცხადებელს სურს მიიღოს თავისი პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარი.

იმისათვის, რათა მოხდეს სახელის ან/და გვარის შეცვლის საქმისწარმოება, დაინტერესებულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და წარადგინოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტები. იმ შემთხვევაში თუ, დოკუმენტალურად ვერ ხერხდება ამა თუ იმ გვარის წარმომავლობის დადგენა, აღნიშნულ საკითხს წყვეტს სასამართლო.

სახელებისა და გვარების ჩაწერა დოკუმენტებში ხდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის) საფუძველზე, ხოლო ამ უკანასკნელში სახელები და გვარები ჩაიწერება სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის შესაბამისი მოწმობის მიხედვით. უცხოენოვანი დოკუმენტების საფუძველზე მოქალაქეთა სახელებისა და გვარების ჩაწერა შესაბამის დოკუმენტებში ხორციელდება სახელმწიფო ენაზე შესრულებული, სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის საფუძველზე.

სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილია, რომ ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს. დღეისათვის პრობლემას წარმოადგენს აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში დაბადების აქტის ჩანაწერებში გვარის ჩაწერის საკითხი. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არ გააჩნია გვარი, რაც დიდი პრობლემას წარმოადგენს მათზე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისას. პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში მითითებულ უნდა იყოს, როგორც სახელი, ისე გვარი. დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გვარის არმქონე პირთათვის გვარის მინიჭების საკითხს. ამასთან აღსანიშნავია, რომ თავად მოსახლეობის ამ ნაწილს სურვილი აქვს იქონიოს გვარი, თუმცა ხშირად თვითონაც არ ფლობენ ინფორმაციას თუ კონკრეტულად რა გვარს უნდა ატარებდნენ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული საკითხის დასარეგულირებლად შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების

შემუშავებაზე. ამასთან, აზერბაიჯანულ მოსახლეობაში პრობლემას წარმოადგენს მამის სახელის გვარად ჩაწერის საკითხიც. კერძოდ, სამოქალაქო აქტის ჩანაწერებში გვარის გრაფაში გვხვდება მამის სახელები კიზი (კზი) და ოფლი დაბოლოებით, რაც ქართულად „ასულს“ და „ძეს“ ნიშნავს. ასეთ შემთხვევებში მამას და შვილს სხვადასხვა გვარი შეიძლება ჰქონდეთ, სქესის მიხედვით.

პრობლემას წარმოადგენს, ასევე, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის საკითხიც. კერძოდ, მოსახლეობის დიდი ნაწილის მიმართ დღემდე არ არის რეგისტრირებული დაბადების თუ გარდაცვალების ფაქტები, რაც გამოწვეულია როგორც რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტების არქონით, ასევე, ამ პირთა სურვილის არარსებობით, მიმართონ შესაბამის სამსახურს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისათვის. ზოგიერთ შემთხვევებში მოსახლეობამ გამოხატა თავისი სურვილი ეთანამშრომლა სააგენტოსთან და მათ შეძლეს გარკვეული დოკუმენტაციის მოგროვება, იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიღება.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 12 ნოემბრის №1398 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა პირადობის დამადასტურების და საქართველოს მოქალაქის პასპორტის (საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტის) გაცემის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქემ რეგისტრაციისა და პირადობის მოწმობის მისაღებად უნდა მიმართოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შეავსოს განცხადება-ანკეტა (ფორმა №1) და მასთან ერთად წარადგინოს: პირადობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი (დაბადების მოწმობა, პირადობის მოწმობა ან საბჭოთა სიმბოლიკიანი პასპორტი), ორი ცალი ფოტოსურათი და საცხოვრისის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ან საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობა, რაც ნიშნავს საცხოვრისის მესაკუთრის ან სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საცხოვრისის დამქირავებლის წერილობითი თანხმობას, საკუთრების ან ქირავნობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ან სანოტარო წესით დამოწმების გარეშე.

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, პირი, რომელსაც არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი და შესაბამისად, ვერ წარადგენს საცხოვრისის საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტს ან საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობას, რეგისტრაციას გაივლის მისამართის მითითების გარეშე, იმ დასახლებული პუნქტის მიხედვით, სადაც იმყოფება.

ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში რეგისტრაციისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის პროცესში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ პირთა მიერ ვერ ხდებოდა პირადობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტის (დაბადების მოწმობის, საბჭოთა სიმბოლიკიანი პასპორტის) წარდგენა, რის უზრუნველსაყოფად უმცირესობით დასახლებულ რაიონებში, სამოქალაქო

რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები აქტიურად თანამშრომლობენ სოფლების საკრებულოებთან, გამგეობებთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან. აღნიშნული თანამშრომლობის შედეგად, შესაძლებელი გახდა მსგავსი პრობლემების გადაჭრა რამდენიმე რაიონში. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად, საგარეჯოს რაიონის იორმულანლოს, დუზაგრამის, ლამბალოსა და თულარის საკრებულოებში შემავალი სოფლების მოსახლეობისათვის, რომელთა დიდ ნაწილს მრავალი წლის განმავლობაში არ გააჩნდა დაბადებისა და საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი მოწმობები, შეიქმნა პირობები, რომ ადგილზე მივლინებული შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელთა მეშვეობით რაიონულ ცენტრში ჩაუსვლელად გადაეწვევიტათ პირადობის მოწმობის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები. პირადობის მოწმობის მისაღებად საჭირო იყო კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტების წარდგენა და შესაბამისი პროცედურების გავლა, რაც დაკავშირებულია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საგარეჯოს სამსახურში და შემდეგ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დასადგენად რაიონულ სასამართლოში მრავალჯერ გამოცხადებასთან, მტკიცებულებების წარდგენასთან და შესაბამის ფინანსურ დანახარჯებთან. განხილულ შემთხვევაში გადაწყდა, რომ სოფლებში მივლინებულიყო შესაბამისი სამსახურები და დოკუმენტების მისაღებად საჭირო ყველა მოქმედება განხორციელებულიყო ადგილზე. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მომზადდა იმ პირთა სია, რომლებსაც არ გააჩნდათ პირადობის მოწმობის მისაღებად საჭირო დოკუმენტები. დაბადებისა და პირადობის მოწმობების მისაღებად და მოქალაქეობის დადგენისათვის საჭირო ადმინისტრაციული და სასამართლო წარმოებების წარსამართავად მოსახლეობამ აირჩია წარმომადგენელი. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საგარეჯოს სამსახურის თანამშრომლები მივლინებულნი იყვნენ ზემოაღნიშნულ სოფლებში და მოსამართლესთან ერთად ადგილზე განახორციელეს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა, სახელმწიფო ბაჟის გადახდის გარეშე. დაბადების ფაქტის დადგენის შემდეგ ხდება დაბადების რეგისტრაცია და პირადობის მოწმობის გაცემა. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, საგარეჯოს რაიონის იორმულანლოს, დუზაგრამის, ლამბალოსა და თულარის სოფლებში მოსახლეობის დიდ ნაწილზე (რომელთა უმეტესი ნაწილი ეთნიკური აზერბაიჯანელები არიან) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები უკვე გაცემულია.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ასევე აქტიურად თანამშრომლობს უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში არსებულ სოფლების საკრებულოებთან მარნეულში და ბოლნისში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებას სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სტრუქტურულ ერთეულებში შესაბამისი დოკუმენტების მიღებისათვის საჭირო პროცედურებთან დაკავშირებით. აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ პუნქტებში. სპეციალურად მათთვის 2005 წელს, სამ ენაზე (რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე) დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტები და პლაკატები, რომლებშიც განთავსდა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისა და შესაბამისი მოწმობის, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობისა და საქართველოს

მოქალაქის პასპორტის გაცემისათვის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, მათი გაცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ბაჟები და გაცემის ვადები.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ შეიმუშავა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო კამპანიის სტრატეგია, რომელიც ძირითადად მიმართულია ეროვნული უმცირესობათა მოტივაციის გაზრდაზე, რათა მათ უკეთ აღიქვან სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტების მნიშვნელობა, დაინახონ მათი საჭიროება და დროულად მიიღონ მათთვის ესოდენ მნიშვნელოვანი დოკუმენტები. სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე საინფორმაციო ბუკლეტების, ბროშურებისა და პლაკატების დაბეჭდვას და მოსახლეობაში დარიგებას, სამენოვანი სატელევიზიო საინფორმაციო რგოლების გაშვებას, რათა ეროვნული უმცირესობები დროულად იყვნენ ინფორმირებული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ განხორციელებულ თუ განსახორციელებელ სიახლეებზე, მომსახურების სიახლეებზე.

129. ამ კონვენციის მე-11 მუხლის მე-3 პარაგრაფთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლება მიიჩნევს, რომ შიდა კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს ის დებულებები, რომლებიც შეეხება ეროვნული უმცირესობების მნიშვნელოვანი რაოდენობით ტრადიციულად დასახლებულ რეგიონებში ქუჩებისა და სხვა ტოპოგრაფიული დასახელების ქართულ და უმცირესობის ენებზე გამოყენებას.

მუხლი 12

1. მხარეები, საჭიროების შემთხვევაში, მიიღებენ ზომებს განათლებისა და მეცნიერული კვლევის სფეროში თავიანთი ეროვნული უმცირესობებისა და უმრავლესობის კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის ცოდნის გასაღრმავებლად.

2. ამ კონტექსტში, მხარეები, ინტერ აღია, უზრუნველყოფენ მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და სახელმძღვანელოებისადმი ხელმისაწვდომობის ადეკვატურ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობენ კოტაქტებს სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის.

3. მხარეები ვალდებულიებას იღებენ უზრუნველყონ ყველა დონის განათლებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა იმ პირობისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

130. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლება განხორციელდეს უცხოურ ენაზე. ამ ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებაში სავალდებულო სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა. – მეორდება.

131. ეროვნულ უმცირესობებს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლიათ დააფუძნონ საგანმანათლებლო დაწესებულებები კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით, რისთვისაც მათ უნდა მოიპოვონ ზოგადი, უმაღლესი, დაწყებითი ან/და საშუალო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

132. სწავლების ენის მიუხედავად, საქართველოს ყველა საჯარო სკოლა, ტრადიციულად, ფინანსდება თანაბრად. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, სრულ ზოგად საშუალო განათლებას სახელმწიფო აფინანსებს. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მიმდინარე განათლების რეფორმის ფარგლებში საქართველოს განათლების სისტემა გადავიდა „ერთი მოსწავლის“ დაფინანსების პრინციპზე, რომლის მიხედვითაც საჯარო თუ კერძო, ქართულენოვანი თუ არაქართულენოვანი სკოლა ყოველ მოსწავლეზე იღებს სახელმწიფო ვაუჩერს.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის მიერ მის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს ზოგადი განათლების სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლებას. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლების განხორციელება შეუძლებელია სტანდარტული ვაუჩერის მეშვეობით, სახელმწიფო ასეთ მოსწავლეებს უზრუნველყოფს გაზრდილი ვაუჩერით ან/და დამატებითი დაფინანსებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში. გაზრდილი ვაუჩერის ოდენობა და დამატებითი დაფინანსება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში უნდა უზრუნველყოფდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლების განხორციელებას მცირე კონტინგენტიანი საჯარო სკოლის, სპეციალური, კორექციული ან ლინგვისტური უმცირესობის სკოლის ან კლასის ფარგლებში, თუ არსებობს 3 მოსწავლე დაწყებით საფეხურზე, 6 მოსწავლე საბაზო საფეხურზე და 21 მოსწავლე საშუალო საფეხურზე.

133. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის შესაბამისად, სკოლის ძირითადი დაფინანსება ხორციელდება ამ კანონითა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ ვაუჩერის გაცემის გზით.

ამ კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო უზრუნველყოფს სრული ზოგადი განათლების მიღებას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის განათლების სახელმწიფო დაფინანსება გრძელდება 12 წლის განმავლობაში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის 1-ლი წინადადების მიხედვით, სახელმწიფო სწავლისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს იმ სკოლაში, რომელიც ახორციელებს დაწყებით ან/და საბაზო ან/და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს.

ამასთან, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული დაფინანსება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ ზოგადი განათლების მიღების უფლება ხორციელდება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა საფუძველზე. იმ ქვეყნის მოქალაქეების მიმართ, რომელთა ზოგადი განათლების მიღების უფლების საკითხი არ არის მოწესრიგებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან/და შეთანხმებით, საქართველოს სახელმწიფო დაფინანსება განისაზღვრება ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე. იმ სახელმწიფოთა ნუსხას, რომელთა მოქალაქეების მიერ ზოგადი განათლების მიღებას საქართველოს სახელმწიფო ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე აფინანსებს, აქვეყნებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით.

განათლების სამინისტროს პოლიტიკა ეროვნული უმცირესობების განათლების სფეროში

134. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ინტენსიურად მუშაობს საბჭოური დროიდან მემკვიდრეობით მიღებული ენობრივი სიტუაციის გასაუმჯობესებლად. საბჭოთა იდეოლოგიზებული პერიოდის ენობრივი პოლიტიკის მემკვიდრეობა კიდევ უფრო დამძიმდა პოსტსაბჭოთა პერიოდში, ამაჯერად უკვე ეკონომიკური პრობლემების ზემოქმედებით. ეკონომიკური იზოლაციის შედეგად გაძლიერდა რეგიონების ენობრივ-ეთნიკური იზოლაცია. თავის მხრივ, ეთნიკური პრობლემების ფონზე გაიზარდა სამოქალაქო გაუცხოება, რადგან ამ რეგიონებში საზოგადოებრივი განწყობილებები თუ ცალკეულ პირთა ტენდენციური ინტერპრეტაციები მთელი ქვეყნის მსგავსად, რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების არსებობას ხშირად სწორედ ეთნიკური განსხვავებით ხსნის. ამდენად, სამოქალაქო გაუცხოების დაძლევა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ინტეგრირება ერთიან სახელმწიფოებრივ-სამოქალაქო სივრცეში ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ეს შედეგი საგრძნობია ყველა ეტაპზე, როდესაც მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ წინასწარვე მიუღწევლად აღიქმებოდა დასახული სასწავლო მიზნები და შესაბამისად, აზრს კარგავდა სასწავლო პროცესი; ახალგაზრდა თაობა სკოლას სახელმწიფო ენის ცოდნის გარეშე ამთავრებდა; უმაღლესი განათლებისა და დასაქმების პერსპექტივას მოქალაქეები ჯერაც საქართველოს საზღვრებს გარეთ ხედავენ, ამიტომ ხდება ინტელექტუალური პოტენციალის გადინება; მოსახლეობაში არ არის საკმარისად გაზრდილი სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლების მოტივაცია; რეგიონები ინფორმაციულ ვაკუუმში და სამოქალაქო იზოლაციაში რჩებიან და არ არიან ჩართული ერთიან სახელმწიფოებრივ-სამოქალაქო სივრცეში.

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ძირითად ინდიკატორად დღეს სახელმწიფო ენის ცოდნა მიჩნეულია. ამდენად, სახელმწიფო ენის ფლობასა და სამოქალაქო ინტეგრაციას შორის პირდაპირი მიმართება მყარდება. ამ შემთხვევაში იქმნება ერთგვარი საფრთხეც, რომ სახელმწიფო ენის გავრცელებას ეროვნული უმცირესობები თვითმიზნად – აღიქვამენ და ეს მათ საზოგადოებრივ განწყობილებებში უკურეაქციას გამოიწვევს; საქმის ამგვარი შემობრუნება კი შეაფერხებს ჭეშმარიტი სამოქალაქო მიზნების მიღწევას.

ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ენის პროპაგანდას და მისი გავრცელებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს უნდა ახლდეს უმცირესობათა ენების უფლებების აღიარებაც, რათა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა იგრძნონ, რომ დაუბრკოლებლად აქვთ საკუთარი ფასეულობების დაცვის საშუალება. სწორედ ამ განცდის საფუძველზე უნდა გაუჩნდეს ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს საერთო სახელმწიფო ფასეულობების დაცვის სურვილი.

ენის თვალსაზრისით სურათი მთელი საქართველოს მასშტაბით საკმაოდ მრავალფეროვანია. ამ კუთხით შეიძლება განვიხილოთ სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში არსებული სიტუაცია. ამ რეგიონების სომხურ და აზერბაიჯანულ დასახლებებში სომხური და აზერბაიჯანული ენები გამოყენებული არის არა მხოლოდ საყოფაცხოვრებო, არამედ სასკოლო-საგანმანათლებლო და თვით საინფორმაციო სივრცეში (მედია-დაფარვა ძირითადად მეზობელი ქვეყნებიდან ხდება), ასევე, ადგილობრივი მმართველობები და თვითმმართველობები ამ ენებზე მუშაობენ.

სახელმწიფო ენის დაუფლების შეთავაზებით, სახელმწიფო თავის მოქალაქეებს ცოდნასა და ჩართულობას სთავაზობს.

135. ზოგადსაგანმანათლებლო ეტაპზე სახელმწიფო ენის ცოდნის უზრუნველყოფა ერთ-ერთი პირველი და რეალისტური ამოცანაა; ამასთანავე, ცხადია, რომ მიზანმიმართული ღონისძიებები მხოლოდ ამ ეტაპით არ უნდა შემოიფარგლოს. სახელმწიფო ენის შესწავლა ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის უნდა გახდეს შესაძლებელი, რაც უწყვეტი განათლების საერთაშორისო სტანდარტებსაც პასუხობს. თუმცა დღეისთვის სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერებისათვის ყველაზე ბუნებრივი სივრცე, რასაკვირველია, სკოლაა. იმთავითვე იგულისხმება, რომ იმ სკოლებში, სადაც მთელი სასწავლო პროცესი მოსწავლეთა მშობლიურ, ხოლო რუსულენოვანი სკოლების შემთხვევაში - რუსულ ენაზე მიმდინარეობს, ქართული ენა და ლიტერატურა სავალდებულო საგანია. შესაბამისად, განსაკუთრებული ორგანიზაციული და ფინანსური ძალისხმევის გარეშე პრობლემის გადაჭრა სწორედ სკოლის ეტაპიდან არის შესაძლებელი. თუმცა ისიც ფაქტია, რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა, მოსწავლეები სკოლას ვერ ამთავრებდნენ სახელმწიფო ენის ცოდნით. აქ თავის როლს თამაშობდა ქართული ენის გარემოს არ არსებობა, ყოფით სიტუაციებში ენის გავრცელების სიმწირე. ენის სწავლების მეთოდისა და სახელმძღვანელოების განახლების საჭიროება. ბოლო დრომდე არსებული მეთოდიკა და სახელმძღვანელოები აგებული იყო იმ ილუზორული პრინციპით, რომ ენის მცოდნე მოსწავლეს თანმიმდევრულად უნდა შეესწავლა ქართული გრამატიკა თუ ლიტერატურული ნაწარმოებები. ზოგადი განათლების შინაარსის რეფორმის ფონზე შეიცვალა მიდგომა სახელმწიფო ენის სწავლებისადმი.

136. ენის სწავლების ახალი სტანდარტების, მეთოდოლოგიისა და სახელმძღვანელოების იმპლემენტაცია შესაძლებელია მხოლოდ პედაგოგთა შესაბამისი გადამზადების გზით. ასეთი მიდგომით დაგეგმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სახელმწიფო ენის სწავლების ღონისძიებები. ამ პროცესში მნიშვნელოვანი იყო ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატის დახმარება, რომლის მხარდაჭერითაც მომზადდა დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში ქართულის, როგორც მეორე ენის, სტანდარტები და 2005 წლიდან დაიწყო სამცხე-

ჯავახეთის არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის ყველა პედაგოგის ტრენინგები, ქვემო ქართლში კი ეს პროცესი 2006 წლიდან დაიწყო.

137. სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების ფონზე მნიშვნელოვანია ეთნიკური ჯგუფებისათვის მშობლიური ენის სწავლების მეთოდის განახლება. შესაბამისად, ეუთოს მხარდაჭერით დაიწყო სომხურის და აზერბაიჯანურის, როგორც მშობლიური ენის, მხარდაჭერის პროგრამები შესაბამისად სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში, სათანადო სტანდარტების მომზადებითა და პედაგოგების ტრენინგებით.

138. საერთო ჯამში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მიმდინარეობს ათობით მოკლე და გრძელვადიანი პროგრამა. მათი საგანგებო მიზანია არაქართულენოვანი სკოლების სამოქალაქო ინტეგრაცია, როგორც სახელმწიფო ენის, ისე მშობლიური ენების ცოდნის დონის ამაღლებით. ამასთანავე, არაქართულენოვან სკოლებს თანაბრად ეხება ყველა ის პროგრამა, რომლებიც საქართველოს თითოეული საჯარო სკოლის მართვის, დაფინანსების, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული. ამდენად, არაქართულენოვანი სკოლები ერთიანი სასკოლო გარემოს თანაბარუფლებიანი სუბიექტები არიან.

139. საქართველოს საჯარო სკოლების დონის ამაღლებას ისახავს მიზნად საპრეზიდენტო პროგრამები: „იაკობ გოგებაშვილი“ (სკოლების მატერიალური რეაბილიტაცია), „ირმის ნახტომი“ (საჯარო სკოლების კომპიუტერიზაცია, ინტერნეტიზაცია, სასწავლო სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა), „გიორგი ნიკოლაძე“ (სპორტული მოედნების რეაბილიტაცია).

140. ერთიანი სასკოლო რეფორმის ფარგლებში მოქმედებს პროექტი „ილია ჭავჭავაძე“, რომლის მიზანია ეფექტური სასწავლო გარემოს, სწავლებისა და შეფასების სისტემის შექმნა (პროექტი ფინანსდება მსოფლიო ბანკის კრედიტით). საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროცესის ფარგლებში საქართველოში შეიქმნა ახალი სასწავლო გეგმები (2006-2007 სასწავლო წლიდან - I, VII და X კლასებში, ხოლო შემდგომ სასწავლო წლებში - შესაბამისად, მომდევნო კლასებში), მათ საფუძველზე კი - ახალი სახელმძღვანელოები. ახალ სასწავლო გეგმებსა და სახელმძღვანელოებს საქართველოს არაქართულენოვანი სკოლებიც იღებენ. ამის შედეგად ისინი ერთიან ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ერთვებიან; არაქართულენოვანი მოსწავლეების სასწავლო გეგმები და სახელმძღვანელოები ისეთივე თანამედროვე იქნება, როგორც მათი სხვა თანატოლებისა. ამისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ან დონორთა ხარჯებით მომზადდება ახალი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ რეკომენდირებული სახელმძღვანელოები, თარგმნილი სათანადო ენებზე. ამდენად, გადაიტარება სასწავლო პროგრამების შეუსაბამობის პრობლემა, რომელსაც ბოლო ათწლეულში საქართველოს არაქართულენოვან სკოლებში სახელმძღვანელოების მეზობელი ქვეყნებიდან შემოტანა განაპირობებდა.

141. წლების განმავლობაში საქართველოს არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები რუსეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოტანილი სახელმძღვანელოებით სწავლობდნენ. ქართული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი, საქართველოში

გამოცემული არაქართულენოვანი სახელმძღვანელოები ვერავითარ კონკურენციას ვერ უწევდნენ უფასოდ ან დაბალი ფასებით საზღვარგარეთიდან შემოტანილ სასკოლო წიგნებს. ამდენად, პრაქტიკულად, ადგილი ჰქონდა არაქართულენოვანი სკოლების საქართველოს ერთიანი საგანმანათლებლო სივრციდან გაყვანას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით სახელმწიფოთაშორის დონეზე დაიწყო ამ პრობლემის სამართლებრივი მოგვარება. პარალელურად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2006-2007 წელს პირველად არაქართულენოვანი სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის დაიწყო ქართული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი სახელმძღვანელოების მასშტაბურად შესყიდვა.

2004-2005 სასწავლო წელს აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სკოლების ყველა, 50 000-ზე მოსწავლემ, პირველიდან მე-11 კლასის ჩათვლით უფასოდ მიიღო ქართული ენის სახელმძღვანელოები.

ამის გარდა, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სახელმძღვანელოები 100%-ით მიიღო ყველა მე-5 კლასელმა. ამავე საგნებში სახელმძღვანელოები მიიღეს მე-6-მე-11 კლასელებმაც - სულ 38 000 მოსწავლემ.

რუსულენოვანი სკოლების მოსწავლეებისთვის გამომცემლობა „ინტელექტმა“ სამინისტროს უსასყიდლოდ გადასცა 5 000-ზე მეტი სხვადასხვა დასახელების სახელმძღვანელო, რომელიც სამინისტრომ გაანაწილა.

არაქართულენოვანი სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისი არაქართულენოვანი სახელმძღვანელოების შექმნისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სულ 190 000 ლარი გამოიყო.

142. სახელმძღვანელოების თარგმნა და მათი პილოტირება რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ეტაპობრივად, პედაგოგიური წრეების მოსაზრებების გათვალისწინებით მიმდინარეობს. 2005 წელს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის პილოტირება საქართველოს რეგიონის 100 ქართულენოვან სკოლაში წარმატებით ჩატარდა. შედეგად 2006-2007 სასწავლო წლისათვის ყველა ქართულენოვანი სკოლის I, VII და X კლასებში ახალი სახელმძღვანელოები ინერგება.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი ახალი სახელმძღვანელოების თარგმნის გენერალური სპონსორები არიან პოლდინგი „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ (190 000 ლარი) და ბანკი „რესპუბლიკა“ (87 000 ლარი). 2006-2007 სასწავლო წლისათვის პილოტირება დაიწყო 10 რუსულენოვან, რეგიონის 10 აზერბაიჯანულენოვან და 10 სომხურენოვან სკოლაში.

143. არაქართულენოვანი სკოლები საქართველოს ერთიანი ზოგადსაგანმანათლებლო სივრცის ნაწილია, მაგრამ გარკვეული კულტურულ-ენობრივი თავისებურებების გამო შესაძლოა წარმოიშვას სპეციფიკური პრობლემებიც, რომელთა გამოვლენა საგანგებო კვლევის საგანი ხდება. 2005

წელს არაქართულენოვანი სკოლების სიტუაციური ანალიზის ჩატარებისა და საჭირო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, გაეროს განვითარებისა და რეფორმების ფონდის დაფინანსებით კომპანია „ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფის - ACT-ის“ მიერ ჩატარებული საქართველოს არაქართულენოვანი სკოლების კვლევის შედეგად შეგროვდა ქვეყნის ყველა არაქართულენოვანი სკოლის ზუსტი მონაცემები და შეიქმნა სოციოლოგიური სურათი. ამ კვლევის საფუძველზე მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება უკვე ხდება სკოლების განვითარების, სახელმწიფო ენის სწავლების, სამოქალაქო ინტეგრაციის მიზნების მისაღწევად.

144. მიმდინარე პროგრამების მიზანი, სახელმწიფო ენის სწავლებასთან ერთად, არაქართულენოვანი სკოლების სამოქალაქო გარემოს გააქტიურებაა. პროექტის „მომავალი იწყება დღეს“ ფარგლებში 2004-2005 და 2005-2006 სასწავლო წლების განმავლობაში სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში გაიგზავნა 40-მდე პედაგოგი, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სამოქალაქო ინტეგრაციის მიზნების მიღწევაში.

145. მოსწავლეებისა და მასწავლებლების სამოქალაქო სივრცეში ინტეგრირების, ქართულენოვან და არაქართულენოვან სკოლებს შორის მეგობრული და კოლეგიალური კავშირების დამყარების მიზნით მესამე წელია მუშაობს სასკოლო პარტნიორობის პროგრამა. პროგრამა ქართულ და არაქართულენოვან სკოლებს დამეგობრების, ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების, სასწავლო თუ შემოქმედებითი აქტივობების, ექსკურსიებისა და ვიზიტების განხორციელების საშუალებას აძლევს. 2006 წელს ამ პროგრამაში 100-მდე სკოლა იყო ჩართული.

146. საქართველოს განათლების რეფორმის მორიგი პრიორიტეტია სახელობო განათლების რეფორმა, რაც მოქალაქეებს სამუშაო პოტენციალის ამღვლევისა და დასაქმების შესაძლებლობებს უზრდის. პროფესიული განათლების დაწესებულებების რეაბილიტაციის საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში უკვე 2007 წელს ამოქმედდება ახალი ტიპის 11 პროფესიული სასწავლებელი, რომლებიც ქვეყნის მოქალაქეებს საშუალებას მისცემს, განახლებული პროგრამებით, განახლებულ სასწავლო გარემოში დაეუფლონ შრომის ბაზარზე ყველაზე პოპულარულ ხელობებს, მათ შორის მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროებში და უმოკლეს ვადაში დასაქმდნენ. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებს მოემსახურება პროფესიული სწავლების ცენტრები ახალციხესა და რუსთავში, წლის ბოლოს კი უკვე ახალქალაქშიც.

147. დღეისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამოქალაქო ინტეგრაციის მიზნებზე მიმართული პროგრამების დაფინანსებაში საერთაშორისო დახმარების წილი 15%-ს (წელიწადში 2 მილიონ ლარამდე) შეადგენს. ძირითადი თანხა კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან არის მობილიზებული.

არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის შესწავლის პროგრამა

148. საქართველოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე ერთ-ერთი იმ

პრობლემათაგანია, რომლის გადაჭრა დღეისათვის მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ამოცანას წარმოადგენს. სახელმწიფო ენის ცოდნასთან მჭიდრო კავშირშია ქვეყნის სამოქალაქო სივრცეში ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრირების შესაძლებლობა იმის გათვალისწინებით, რომ დაცული უნდა იყოს მათი ლინგვისტური და კულტურული იდენტობა. ამ მხრივ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს ქმედით ღონისძიებებს, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესი სასკოლო ეტაპზე სახელმწიფო ენის სწავლების გააქტიურებაა.

149. საქართველოს არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის აქამდე არსებული პროგრამები და სახელმძღვანელოები შეუფერებელი აღმოჩნდა დღევანდელი რეალობისათვის, რადგან ისინი ეფუძნებოდნენ განსხვავებულ წინაპირობას – მოსწავლეთა მიერ ქართული ენის ფლობას. არადა, რეალურად კომპაქტური განსახლების რეგიონებში უფროსკლასელი არაქართველი მოსწავლეებიც კი ვერ ფლობენ ქართულ ენას. ამდენად, მოსწავლეები სკოლას ამთავრებდნენ სახელმწიფო ენის ცოდნის გარეშე, რაც მათი შემდგომი საქმიანობის შემაფერხებელი ფაქტორი ხდებოდა, რადგან ეზღუდებოდათ საუნივერსიტეტო ან პროფესიული განათლების მიღების თუ ადგილობრივი შრომის ბაზარზე კონკურენციის შესაძლებლობები. შედეგი კი იყო ის, რომ ხშირად ახალგაზრდები ტოვებდნენ ქვეყანას და ხდებოდა მათი შემდგომი იზოლაცია ერთიანი სამოქალაქო პროცესებიდან.

150. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად 2005 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გარდამავალი პერიოდისათვის დაიწყო სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლების ახალი პოლიტიკის განხორციელება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამტკიცებს არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლების ახალ, გარდამავალ სტანდარტებს, რომლებიც მომზადებულია სამინისტროსა და ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატის პროგრამის - „ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვან სკოლებში“ ფარგლებში. ამ სტანდარტების იმპლემენტაციისათვის საჭირო გახდა ქართული ენის ახალი ტიპის სახელმძღვანელოების მომზადება, რომელიც ემყარება მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგიას, საკომუნიკაციო ენის სწავლების პრინციპს. სახელმძღვანელო დაეფუძნა ენის ფლობის დონეების განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, მომზადებულს ევროპის საბჭოს პროგრამა „ევროპული ენის პორტფოლიოსა“ და „უცხო ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს“ ფარგლებში.

151. 2005-2006 წლებში შეიქმნა ამ ტიპის სახელმძღვანელო - „თავთავის“ I და II ნაწილი. I ნაწილი შედგება მოსწავლის წიგნის, სავარჯიშოების წიგნისა და მასწავლებლის წიგნისაგან, ხოლო II ნაწილი – მოსწავლის წიგნის, სავარჯიშოების წიგნის, მასწავლებლის წიგნის და პორტფოლიოსაგან. „არაქართულენოვან სკოლებში სახელმძღვანელოების სუბსიდირების“ პროგრამის 2005-2006 სასწავლო წლის ასიგნებების ფარგლებში კონკურსის წესით შეირჩა წიგნის ავტორთა კოლექტივი, სტამბა და წიგნების უფასო დისტრიბუტორები სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების VII-XI კლასების პედაგოგებისთვის. „თავთავის“ მიხედვით ქართული ენის დაუფლებას შეუდგნენ VII-XI კლასის მოსწავლეები, რადგან, როგორც შეფასებებმა

ცხადყო, რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეები თანაბრად სუსტად, ან თითქმის ვერ ფლობენ ქართულ ენას.

152. ერთიანი ევროპული სტანდარტით განსაზღვრული ენის ცოდნის 5 დონის შესაბამისად, დაგეგმილია „თავთავის“ ხუთი ნაწილის მომზადება. პედაგოგისა და მოსწავლის აქტიური მუშაობის შემთხვევაში, სახელმძღვანელო რამდენიმე ტრიმესტრის განმავლობაში ენის დაუფლების შესაძლებლობას იძლევა, რაც თავის მხრივ ქმნის წინაპირობას რამდენიმე წელში ახალგაზრდა თაობისათვის სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემის გადაჭრისთვის.

153. 2007 წელს დაგეგმილია „თავთავის“ III დონის კომპლექტის მომზადება და დენერგვა, რაც მოიცავს ავტორთა კოლექტივის მიერ სახელმძღვანელოს მომზადებას (მოსწავლის წიგნი, სავარჯიშოების რეგული, მასწავლებლის წიგნი), დაბეჭდვას და დისტრიბუციას. სავალდებულო სტანდარტები განისაზღვრება პროგრამით - „ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვან სკოლებში“.

154. „არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის შესწავლის პროგრამის“ ასიგნებების ფარგლებში ანაზღაურდება ავტორთა კოლექტივის შრომა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ტენდერის საფუძველზე გამოავლენს სტამბას და მოახდენს წიგნების უფასო გავრცელებას სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის.

155. „თავთავით“ სწავლების შეფასებას და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სახელმძღვანელოს დანერგვას მონიტორინგს უწევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

156. სხვა საგანმანათლებლო დონისძიებები და პროგრამები, რომლებშიც უმცირესობებიც არიან ჩართული:

1. სასკოლო პარტნიორობის დონისძიება

ერთიანი სამოქალაქო სივრცის შესაქმნელად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ენის შესწავლის შესაძლებლობების გაზრდას, ეთნიკური და კულტურათაშორისი კავშირების განმტკიცებას. ამ მიზნების მისაღწევად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2004 წლიდან წარმატებით ასორციელებს „სასკოლო პარტნიორობის პროგრამას“.

2005-2006 სასწავლო წელს გამოცხადებულ კონკურსში წარმოდგენილი იყო 130 პროექტი. გაიმარჯვა 16 პროექტმა, რომელთაც მიიღეს შესაბამისი დაფინანსება. ამ პროექტებით გათვალისწინებულ დონისძიებებში ჩართულნი იყვნენ მოსწავლეები და მასწავლებლები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან: წალკა, თერჯოლა, მარნეული, ბოლნისი, თბილისი, ახალგორი, ახალციხე, ჩხოროწყუ, ლაგოდეხი, გარდაბანი, აბაშა, ახალქალაქი, ქობულეთი, დმანისი, ხელვაჩაური, ქუთაისი, ხონი, ნინოწმინდა, საგარეჯო, წყალტუბო. პროგრამის ფარგლებში ერთმანეთს დაუმეგობრდებიან რამდენიმე ათეული ქართულენოვანი და არაქართულენოვანი მოსწავლე და მათი პედაგოგები. ერთობლივი დონისძიებების საშუალებით ისინი გაეცნობიან

ერთმანეთის კულტურასა და ადათ-წესებს, რაც მთავარი წინაპირობაა მათ შორის გაუცხოების აღმოსაფხვრელად.

2. ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსების პროგრამა

სოციალური და ეკონომიკური რეალობა იმგვარია, რომ მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფებისათვის თუ ცალკეული რეგიონების მცხოვრებთათვის ვერ ხერხდება მაღალი ხარისხის განათლების თანაბრად ხელმისაწვდომობა. ეს აბიტურიენტებს, რომლებიც ამ ჯგუფებს წარმოადგენენ, არათანაბარ პირობებში აყენებს. ასეთ ჯგუფს სხვებთან ერთად მიეკუთვნებიან:

- ა) აბიტურიენტები, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს არაქართულენოვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის რეგიონებში;
- ბ) კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლები.

კონკურსის შედეგად, 2006 წლის ოქტომბერში მოსამზადებელ კურსებზე ჩაირიცხა 203 აბიტურიენტი. აბიტურიენტები სურვილისამებრ გადანაწილდნენ 4 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ამ დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ აბიტურიენტები მაღალკვალიფიციური პედაგოგებით და შესაბამისი სასწავლო გეგმებით, რისი გავლის შედეგად აბიტურიენტები შეძლებენ ცოდნის დონის ამაღლებას და საჭირო უნარების განვითარებას ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით დასაძლევად. აბიტურიენტებმა უნდა გაიარონ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსი.

მოსამზადებელ კურსებში მონაწილე აბიტურიენტები მიიღებენ სახელმწიფო ვაუჩერს 500 ლარის ოდენობით, რაც 100%-ით ფარავს მათ მომზადებას. თანხას პირდაპირი გადარიცხვის წესით მიიღებს კონკურსით შერჩეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება; აბიტურიენტები ასევე, უზრუნველყოფილნი იქნებიან ყოველთვიური სტიპენდიით 50 ლარის ოდენობით; მოსამზადებელ კურსებზე სახელმწიფოს დაფინანსებით სწავლის შესაძლებლობა სულ 200 აბიტურიენტს მიეცემა.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ მოსამზადებელი პროცესის შიდა მონიტორინგი.

ჩამოთვლილი ჯგუფების წარმომადგენელ იმ აბიტურიენტებს, რომლებიც წარმატებით დაძლევენ 2007 წლის ერთიანი ეროვნულ გამოცდებს და ჩაირიცხებიან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, შეეძლებათ მიიღონ სახელმწიფო სოციალური გრანტი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა⁸

157. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა დაარსდა 2005 წელს, საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულებით, „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დაარსებისა და საჯარო მოხელეთა პროფესიული გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა დაფუძნდა, როგორც რეგიონულ სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ეროვნული ცენტრი. სწავლება დაიგეგმა ორი მიმართულებით:

- ა) ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლება იმ საჯარო მოხელეებისათვის, რომლებიც საერთოდ ვერ ფლობენ ან ცუდად ფლობენ ქართულ ენას;
- ბ) სახელმწიფო მართვის თანამედროვე ზოგადი მეთოდოლოგიის სწავლება.

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიზნების მისაღწევად უკვე მეორე წელია გრძელდება საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ორი პროგრამით:

- ქართული ენის სწავლების ინტენსიური პროგრამა;
- სახელმწიფო მართვის ქართულენოვანი პროგრამა.

ქართული ენის სწავლების ინტენსიური პროგრამის კურსის ხანგრძლივობაა 12 კვირა და დღეში ხუთ საათს მოიცავს. ქართული ენის არმცოდნე (ან სუსტად მცოდნე) მსმენელთა მომზადება მეორე ენის სწავლების უკვე აპრობირებული და დასავლური სტანდარტით დამუშავებული მეთოდიკით მიმდინარეობს.

ქართული ენის სწავლების ინტენსიური პროგრამის კურსდამთავრებულებს საშუალება მიეცემა, სწავლა განაგრძონ სახელმწიფო მართვის ქართულენოვანი პროგრამით.

მსმენელთა სტიპენდია თვეში 200 ლარია.

პროგრამა ითვალისწინებს ყოველდღიურ 6-საათიან ინტენსიურ მეცადინეობებს (კვირაში 5 დღე).

ამ პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს:

- საქართველოს რეგიონებში სახელმწიფო და ადგილობრივი მართვის სფეროში არსებული საკადრო დეფიციტის დაძლევა;
- ადგილობრივ დონეზე მოსამსახურე საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებას;
- საჯარო მოხელეთათვის თანამედროვე დემოკრატიული პრაქტიკისათვის შესაფერისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას და შესაბამისი პრაქტიკული და თეორიული მასალის მიწოდებას;

⁸ [http://www.zspa.ge]

- ეთნიკური უმცირესობებისა და მაღალმთიანი რეგიონების წარმომადგენელ საჯარო მოხელეთა სისტემატურ ინფორმირებას საქართველოს სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი სიახლეების შესახებ;
- საქართველოში ქართული ენის ინსტიტუციონალიზაციის პროცესს.

2005 წელს სკოლა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 589 030 ლარით დაფინანსდა. ამ თანხის უდიდესი ნაწილი დაიხარჯა მოსამზადებელ სამუშაოებზე: სკოლის შენობის რემონტზე, სასწავლო და საყოფაცხოვრებო ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე, სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების დამუშავებასა და ბეჭდვაზე, ასევე, სკოლის მომავალი მასწავლებლების ტრენინგებზე.

2006 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სკოლას გამოეყო 469 120 ლარი. ეს თანხები დაიხარჯა ადმინისტრაციისა და მასწავლებლების ხელფასებზე, მსმენელთა სტიპენდიებზე, შენობისა და საკომუნიკაციო ქსელების რეკონსტრუქციაზე, კომუნალურ და სხვა აუცილებელ მომსახურებასა და მივლინებებზე. 2007 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სკოლისთვის გათვალისწინებულია 504 999 ლარი.

ვირტუალური სივრცის ხელმისაწვდომობა ენობრივ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის

158. იმისათვის, რომ ვირტუალური სივრცე ხელმისაწვდომი იყოს ენობრივ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს სპეციალურ პროგრამებს. საგანმანათლებლო რეფორმის ფარგლებში ერთ-ერთ ასეთ წარმატებულ პროექტად ითვლება საქართველოს სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამა „ირმის ნახტომი“. პროგრამა 4 წლის (2005-2009წწ.) განმავლობაში საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებას, მათ შორის არაქართულენოვან სკოლებს უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტის მომსახურებით, მოახდენს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. 4 წლის მანძილზე მოსწავლეთა 100% და პედაგოგების 70%-ზე მეტი დაეუფლება კომპიუტერის მოხმარების ძირითად ჩვევებს, შეიქმნება ახალი სასწავლო კომპიუტერული პროგრამები. „ირმის ნახტომი“ რამდენიმე წელიწადში შექმნის ინფრასტრუქტურას, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ქართულ და არაქართულენოვან სკოლებში საინფორმაციო-ტექნოლოგიური ბაზის მუდმივი განახლება.

„ირმის ნახტომის“ ფარგლებში სხვადასხვა ეროვნების მოზარდებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა კონკურსებში, რომლებიც სწორედ სასკოლო ინტერნეტ-გვერდების ორგანიზებას, დიზაინსა და განთავსებას გულისხმობს. საქართველოს აზერბაიჯანული და სომხური საჯარო სკოლების უფროსკლასელთათვის ასევე გამოცხადდება ერთი ქართული ლექსის აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე თარგმნის კონკურსი საუკეთესო ნორჩი მთარგმნელის გამოსაგვლენად. აღნიშნულ კონკურსში უკვე გამოვლინდა ერთი გამარჯვებული, რომელსაც სხვებთან ერთად გადაეცა წიგნების შესაძენი ტალონები, ციფრული ტექნიკისა და კომპიუტერის აქსესუარები. პროგრამა „ირმის ნახტომის“ ფარგლებში იქმნება ერთიანი

საგანმანათლებლო ინტერნეტის ქსელი. მზადდება სახელმწიფო ენის შემსწავლელი დისტანციური კურსები.

2007 წლის 21 თებერვალს მშობლიური ენის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოაცხადა ინტერნეტ ფორუმი საუკეთესო ესეს გამოსავლენად. საქართველოს ყველა მოსწავლეს ჰქონდა საშუალება მშობლიურ ენაზე გამოეხატა დამოკიდებულება მშობლიური ენის მიმართ. კონკურსში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანელი, რუსი და სომეხი მოსწავლეებიც, რომელთაგან რამდენიმემ საუკეთესო ესეს წარმოდგენისათვის ფულადი პრემიები დაიმსახურა.

მუხლი 13

1. მათი განათლების სისტემის ფარგლებში, მხარეები აღიარებენ, რომ ნებისმიერ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას, აქვთ უფლება შექმნან და წარმართონ მათი საკუთარი საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების დაწესებულებები.

2. ამ უფლების განხორციელებას შედეგად არ მოჰყვება მხარეთა რაიმე ფინანსური ვალდებულება.

იხილეთ 131-ე, 132-ე, 133-ე პუნქტები.

მუხლი 14

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება ისწავლოს მისი უმცირესობის ენა.

2. იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები და თუკი არსებობს სათანადო მოთხოვნა, მხარეები თავიანთი განათლების სისტემის ფარგლებში ეცდებიან მაქსიმალურად უზრუნველყონ, რომ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, ჰქონდეთ უმცირესობის ენაზე სწავლის ან ამ ენაზე ინსტრუქტაჟის მიღების ადეკვატური შესაძლებლობანი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტი განხორციელდება ოფიციალური ენის სწავლის ან ამ ენაზე სწავლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

იხილეთ 77-ე, 78-ე, 79-ე, 80-ე, 81-ე, 130-ე, 137-ე, 138-ე პუნქტები.

საქართველოს რეგიონებში არაქართულენოვანი სკოლებისა და სექტორების მიხედვით არაქართულენოვანი მოსწავლეების რაოდენობის შესახებ იხ. დანართი 2.

მუხლი 15

მხარეები შექმნიან აუცილებელ პირობებს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისათვის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებასა და იმ საზოგადოებრივ საქმეებში, რომლებიც კერძოდ მათ ეხებათ.

159. საქართველოს მოქალაქეების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საარჩევნო კოდექსი, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონი, „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

160. “ვარდების რევოლუციის” შემდეგ ქვეყნის ახალი ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ქვეყნის მართვაში ჩართვას. 1990-იან წლებში დანერგილი მანკიერი ტრადიციის შედეგად ეროვნული უმცირესობების არჩევნებში მონაწილეობის საკითხი ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ამიტომაც, ხელისუფლების მიზანია ეროვნულ უმცირესობებს, განსაკუთრებით მათი კომპაქტური დასახლების ადგილებში, საარჩევნო პროცესების შესახებ მშობლიურ ენაზე მიაწოდოს ყველა აცილებული ინფორმაცია.

161. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-5 მუხლის მიხედვით, საქართველოს ყველა მოქალაქისათვის დაცულია საყოველთაო საარჩევნო უფლება, კერძოდ, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება თანაბრად აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს.

2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის საქართველოს საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილება (საქართველოს ორგანული კანონის „საქართველო საარჩევნო კოდექსის“ 129³-ე მუხლი, მე-18 პუნქტი), რომლის მიხედვითაც, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაევადა უზრუნველყო, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში (ახალქალაქი, ნინოწმინდა, მარნეული და გარდაბანი) ამომრჩეველთა სიაში საკუთარი თავის გადასამოწმებლად ამომრჩეველთა ერთიანი სიის და საარჩევნო ბიულეტენების თარგმნა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე.

162. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 28 მარტის ხელახალი არჩევნებისა და 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისას გამოიწვია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა და ტრენერთა დამხმარე სახელმძღვანელოები რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. კერძოდ, 2006 წლის არჩევნებისთვის მომზადდა და დაიბეჭდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა დამხმარე სახელმძღვანელოები აზერბაიჯანულ (900), სომხურ (700) და რუსულ (1 400) ენებზე.

2006 წლის არჩევნებისათვის კონკურსის წესით შეირჩა და მომზადდა საარჩევნო ადმინისტრაციის 300 ტრენერი, მათ შორის აზერბაიჯანული, სომხური, ბერძნული, რუსული და ოსური ენების მცოდნე 18 ტრენერი.

2006 წლის არჩევნებისათვის ტრენინგები ჩატარდა გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

163. 2006 წლის წინასაარჩევნო პერიოდში მთელი საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებდა ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობით საქართველოს მოქალაქეს ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე უფასოდ შეეძლო მიეღო ნებისმიერი ინფორმაცია საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, გადაემოწმებინა თავი ამომრჩეველთა ერთიან სიაში, მიეღო უფასო იურიდიული კონსულტაცია საარჩევნო საკითხებზე, მიეღო ინფორმაცია კენჭისყრის დღის პროცედურებისა და პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო ბლოკების და სხვა საარჩევნო სუბიექტების შესახებ და ა.შ.

164. აღნიშნული არჩევნებისათვის მომზადდა სარეკლამო რგოლი. ცხელი ხაზის „პრომო“ და პირველადი საარჩევნო სიის გამომოწმება (ერთი სარეკლამო რგოლი); არჩევნების სახეობისა და დანიშნული თარიღის შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირება (ერთი სარეკლამო რგოლი); კარდაკარ შემოვლის პრინციპით ერთიან სიაში ამომრჩეველების გადასამოწმებლად დამზადდა (ორი სარეკლამო რგოლი) ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე; ასევე შუქდებოდა არჩევნების დღის საკვანძო საპროცედურო საკითხები; არჩევნებში მონაწილეობის მიღების მოწოდებით გადიოდა სააგიტაციო რეკლამები; საქართველოს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში გადიოდა ეროვნული უმცირესობებისათვის სარეკლამო რგოლები დღეში რვაჯერ ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, აქედან ექვსი პრაიმ თაიმში. სარეკლამო რგოლები ასევე გადიოდა რეგიონულ ტელევიზიებში: „რუსთავი“ (რუსთავი), „მარნეული“ (მარნეული), მე-9 არხი (ახალციხე), „ატკ12“ (ახალქალაქი) და „ფარვანა ტვ“ (ნინოწმინდა).

2006 წლის ადგილობრივი არჩევნებისათვის დამზადდა საარჩევნო ბიულეტენები რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. საარჩევნო ოლქებსა და უბნებში გამოსაკრავად კი საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული 5 000 ბუკლეტი და 15 000 პოსტერი დაიბეჭდა.

165. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებმა შეხვედრები გამართეს მარნეულსა და ახალქალაქში ადგილობრივი მოსახლეობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

166. სახელმწიფო ცალკეულ საკითხებში თანამშრომლობის მიზნით სამოქალაქო სექტორის მონაწილეობით ქმნის საბჭოებს და პერიოდულად მართავს მათთან შეხვედრებს.

167. **შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭო.** საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 აგვისტოს №639 განკარგულებით, შეიქმნა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭო, რომელიც აერთიანებს როგორც ხელისუფლების ორგანოებს, ისე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს. 2006 წლიდან საბჭოს შემადგენლობაში შედიან სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი (საბჭოს თავმჯდომარე), მინისტრები, პარლამენტარები, “საზოგადოებრივი მაუწყებლისა” და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

2007 წელს სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭოსთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას გეგმავს. ამ მემორანდუმის მიზანია „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“

ევროპული ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციის უზრუნველყოფა და ამასთან დაკავშირებული ანგარიშგება.

168. სახალხო დამცველთან არსებულმა ეთნიკურ უმცირესობათა საბჭომ სახელმწიფო ანგარიშის მომზადების პროცესში სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან 2006 წელს რამდენიმე შეხვედრა გამართა:

- 2006 წელს გაიმართა შეხვედრები პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის კომიტეტში, სადაც განიხილეს საქართველოს კანონი „ადგილობრივი მმართველობის შესახებ“. ამ კანონთან დაკავშირებით საბჭოს წევრებმა გამოთქვეს შენიშვნები და რეკომენდაციები;
- 2006 წელს განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს გააცნეს განათლების სამინისტროს მიერ ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში განათლების სისტემაში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროგრამები;
- 2006 წელს საბჭო შეხვდა ქალაქ თბილისის მერს, სადაც საბჭოს წევრებს გააცნეს მერიის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი სამუშაოები და პროგრამები;
- 2006 წლის 25 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში, საბჭოს წარმომადგენლები შეხვდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და ქვემო ქართლის ადგილობრივი საარჩევნო კომისიების წევრებს;
- 2006 წლის 27 ივლისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-6 საპრობილეში გაიმართა შეხვედრა, რომელსაც სოციალურ საკითხებში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე და სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრის ფარგლებში საბჭოს წევრები შეხვდნენ მსჯავრდებულებს.
- 2006 წლის 2 აგვისტოს გაიმართა შეხვედრა გენერალური პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან, რომლებმაც საბჭოს წევრებს გააცნეს საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ის ნორმები, რომლებშიც ასახულია მოქალაქეთა თანასწორობის, მოქალაქის დაკავების შემთხვევაში მისთვის გასაგებ ენაზე დაკავების მიზეზების განმარტების, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს თარჯიმნის უფასო მომსახურების უზრუნველყოფის საკითხები. ასევე, პროკურატურის ეთიკის კოდექსის ის პუნქტები, რაც ავალდებულებს პროკურატურის თანამშრომელს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას შეუწყოს ხელი.

169. სახალხო დამცველთან არსებულმა ეთნიკურ უმცირესობათა საბჭომ 2006 წლის ოქტომბერ-დეკემბერში, სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლების და უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის ექსპერტების მონაწილეობით, მოამზადეს რეკომენდაციების პაკეტი ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციის შესახებ. რეკომენდაციები რამდენიმე სამუშაო ჯგუფში შემუშავდა: რეგიონული ინტეგრაციისა და კონფლიქტების პრევენციის, იურიდიულ საკითხთა, მედიისა და ინფორმაციის,

განათლებისა და კულტურის სამუშაო ჯგუფებში. აღნიშნული რეკომენდაციები წარედგინება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს.

სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამა საქართველოში 2006-2009

170. სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამა საქართველოში არის აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული ოთხ წლიანი პროექტი, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია საქართველოს მთავრობასთან, აგრეთვე სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად.

პროგრამის მიზანია საქართველოს მოქალაქეებს შორის სამოქალაქო ერთიანობის გრძნობის გაღრმავება. ამისთვის პროგრამა სახელმწიფოს ხელს შეუწყობს ჩამოაყალიბოს და განახორციელოს ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს ერთიანი მრავალ ეთნიკური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი დისკუსიებისა და დებატების გამართვას ქვეყნის მასშტაბით, როგორც მოქალაქეების, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების მონაწილეობით.

პროგრამის პროდუქტები

ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება ქვეყანაში ინტეგრაციისა და ტოლერანტობის ხარისხის გაზრდის მიზნით: აღნიშნული დოკუმენტი შეიქმნება საჯარო და სამოქალაქო ექსპერტების მიერ ფართო საზოგადოებრივი კონსულტაციების საფუძველზე, რომლებშიც მონაწილეობას ასევე მიიღებენ უმცირესობების წარმომადგენლები.

მცირე გრანტების კომპონენტი სახელმწიფო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშესაწყობად: გრანტები გაიცემა საზოგადოებაში ერთიანობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, საზოგადოებაში მრავალფეროვნების მიმართ დადებითი ტენდენციების გასავითარებლად, თემებს შორის კავშირების ჩამოსაყალიბებლად და გასაღრმავებლად, რეგიონებს შორის თანამშრომლობის გასამყარებლად.

ყოველკვირეული სატელევიზიო თოქ-შოუ, დოკუმენტური ფილმები და სოციალური სარეკლამო რგოლები დამუშავდება და წარედგინება საზოგადოებას მრავალფეროვნების დადებითი მხარეების წარმოჩენისა და ქვეყანაში სამოქალაქო იდენტობის გრძნობის განვითარების მიზნით.

171. „საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის“ შექმნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი ინიციატივაა, რომელსაც ხელს უწყობს ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო). აღნიშნული ინიციატივა ითვალისწინებს პოლიციის მხრიდან დანაშაულის პრევენციაზე მეტ ძალისხმევას და საზოგადოების უფრო აქტიურად ჩართვას დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, 2006 წლიდან ამოქმედდა უბნის ინსპექტორის ინსტიტუტი, რომლის საშუალებითაც პოლიცია უფრო აქტიურად არის ჩართული საზოგადოების ყველა ფენის

ყოველდღიურ საქმიანობაში, იღებს ინფორმაციას საზოგადოების საჭიროებების შესახებ.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმირების გეგმაში ჩადებულია „საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის“ განვითარების მიზნები. კერძოდ, მოსახლეობისთვის პრევენციულ ღონისძიებებზე მეტი ინფორმაციის მიწოდება, არასამთავრობო და საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან პარტნიორობის განმტკიცება და უბნებში პარტნიორული საბჭოების შექმნა. აღნიშნულ საბჭოებში გაწევრიანდებიან რელიგიური, ეთნიკური და სხვადასხვა ჯგუფების წევრები, რომლებიც პოლიციასთან ერთობლივად დაიწყებენ საზოგადოების საჭიროებებზე საკითხების მოგვარებასა და დანაშაულის აღკვეთას.

172. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით პეტროს ადამიანის სახელობის სომხურმა თეატრმა გამართა 4 პრემიერა, 36 სპექტაკლი, მიიღო მონაწილეობა 2 ფესტივალში; თბილისის აზერბაიჯანულ დრამატულ თეატრში გაიმართა 1 პრემიერა, 2 სპექტაკლი; დავით ბაზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმმა გამოსცა „შრომების“ მე-4 ტომი (ქართულ და ინგლისურ ენაზე); „კავკასიურმა სახლმა“ გამართა 9 საღამო, 3 გამოფენა, 1 ფილმისა და 1 სპექტაკლის განხილვა, სამშვიდობო აქცია „ლოცვა კავკასიაში მშვიდობისათვის“; აზერბაიჯანის კულტურის ცენტრმა მოაწყო 17 შეხვედრა, 2 გამოფენა, 1 საიუბილეო საღამო, წიგნის 4 პრეზენტაცია; რუსული კულტურის ცენტრმა გამოსცა 1 დისკი, მოაწყო 4 საღამო და კონცერტი; საქართველოში მცხოვრებ უკრაინელთა ასოციაციამ გამართა 1 გამოფენა, 1 საბავშვო წარმოდგენა, 11 შეხვედრა/საღამო/კონცერტი.

ეუთოსთან ერთად განხორციელებული პროექტები

173. ამჟამად საქართველოში მოქმედებს ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოთხი ერთობლივი პროექტი:

1. „ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების ხელშეწყობა ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში“. პროექტი 2006 წლის სექტემბერში დაიწყო. მისი მიზანია ქვემო ქართლის ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა გადამზადება ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით და არაქართულენოვანი მოწაფეებისთვის შექმნილი ახალი სახელმძღვანელოებით (5-დონიანი სახელმძღვანელო „თავთავი“) სასწავლო კურსის წარმართვა.
2. „ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მხარდაჭერა სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვან სკოლებში“. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატის დახმარებით შეიმუშავა ახალი კურიკულუმი და მეთოდური სახელმძღვანელოები მასწავლებელთათვის, აგრეთვე პრაქტიკული სავარჯიშოების კრებულები. აღნიშნული მასალები მომზადდა, დაიბეჭდა და დაურიგდა სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის მასწავლებლებს. მასწავლებელთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ორი 5-დონიანი ტრენინგი, სწავლების ახალ

მეთოდურობის და ახალ სახელმძღვანელოებთან გაცნობის მიზნით. ამჟამად მიმდინარეობს პედაგოგთა გადამზადების პროცესი. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან 2006 წლიდან სამინისტრომ საპილოტე სკოლებში ახალი სახელმძღვანელოები შეიტანა.

3. პროექტი „აზერბაიჯანულის, როგორც მშობლიური ენის სწავლების ხელშეწყობა ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში“. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2006 წლის მაისიდან ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს ამ ერთწლიან პროექტს, რომლის მიზანია ახალი სასწავლო გეგმის შექმნა აზერბაიჯანულ ენასა და ლიტერატურაში. პროექტით გათვალისწინებულია აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის 26 პედაგოგის შერჩევა ქვემო ქართლში და მათთვის 3 ტრენინგის ჩატარება მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების ახალ, შედეგზე ორიენტირებულ მეთოდების გაცნობის მიზნით. ეს შერჩეული პედაგოგები შემდგომ თავად ჩაუტარებენ ქვემო ქართლის აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს 3 ტრენინგს. გარდა ახალი სასწავლო გეგმის შექმნისა, პროექტი ასევე ითვალისწინებს მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდების შესახებ ახალი გამოცემების თარგმნას აზერბაიჯანულ ენაზე, მათი პედაგოგებისათვის დარიგების მიზნით.
4. პროექტი „სომხურის, როგორც მშობლიური ენის სწავლების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვან სკოლებში“. 2007 წლის იანვარში დაიწყო ერევნის უნივერსიტეტში ისეთი კადრის მოძიება, რომელსაც უნდა ჩაეტარებინა ტრენინგი პროექტის ექსპერტებისათვის. საქართველოს საელჩოს რეკომენდაციით ასეთად შეირჩა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის სომხური ენის კათედრის თანამშრომელი. ტრენინგების თემა იყო ცვლილებები სომხეთის განათლების სისტემაში, თუ როგორ გადადიან ისინი თორმეტ წლიან სწავლებაზე.

2006 წლის 19-20 ივნისს ჩატარდა სომხური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტების შერჩევა ტრენინგისათვის. კონკურსი ჩატარდა ახალქალაქის „ენის სახლში“. 2006 წლის ივლისიდან სექტემბრის შუა პერიოდამდე მულტიპლიკატორებისთვის ჩატარდა სამი ტრენინგი. ყველა ტრენინგზე მუშავდებოდა სომხური ენისა და ლიტერატურის სტანდარტის სტრუქტურა, ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითად მიმართულებებზე (ზეპირმეტყველება, მოსმენა, კითხვა, წერა) დაყრდნობით, კერძოდ: სომხური ენისა და ლიტერატურის სწავლების კონცეფცია, საგნის სწავლების მიზნები, სწავლების ძირითადი ამოცანები, სწავლების ძირითადი მიმართულებები, საგნების შინაარსობრივი მხარეა ის, რომ სტანდარტი მოიცავს თითოეული კლასის ბოლოს მისაღწევ შედეგებსა და შედეგების შესამოწმებელ ინდიკატორებს, შედეგები და ინდიკატორები დალაგებულია სამი ძირითადი მიმართულების მიხედვით (ზეპირმეტყველება, კითხვა, წერა).

სამცხე-ჯავახეთის 300-მდე მასწავლებლისთვის დღემდე სამი ტრენინგი ჩატარდა.

174. ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციისათვის საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვნად მიიხნევს ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ეკონომიკური ცხოვრების

გამოცოცხლებასა და ამ კუთხით მათი ინტეგრაციის ხელშეწყობას. ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობამ შეიმუშავა რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების სპეციალური პროგრამები. ბოლო სამი წლის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში განხორციელდა და ასევე, ამჟამადც მიმდინარეობს ასეთი პროგრამები.

სამცხე-ჯავახეთში გზების რეაბილიტაცია

175. უახლოესი სამი წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობა დააფინანსებს საგზაო მშენებლობასა და საკომუნიკაციო პროგრამებს, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონში მცხოვრები უმცირესობების ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურებას.

2005 წლის სექტემბერში საქართველოსა და აშშ-ის მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ საქართველოს დაფინანსების თაობაზე. საქართველოში ხორციელდება აშშ-ს ათასწლეულის კორპორაციის ღირებულოვანი საბჭოს მიერ დამტკიცებული 295.3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 102.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროექტი, რაც სამცხე-ჯავახეთისა და თბილისის დამაკავშირებელი მთავარი გზის 245-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციასა და მშენებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს მთავრობამ შექმნა „ფონდი – ათასწლეულის გამოწვევა საქართველოსთვის“ (ემ-სი-ჯი), რომელიც ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას. „ემ-სი-ჯის“ დაკვეთით გერმანული კომპანია „კოქს კონსალტი“ და მისი ქართული პარტნიორი კომპანია „ბითი“ ამ ეტაპზე ატარებენ წინასწარ სამუშაოებს, რომლებიც ითვალისწინებენ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გზების რეაბილიტაციის ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლას, გარემოზე ზემოქმედების შეფასებასა და საბოლოო დაპროექტებას. გზის რეაბილიტაცია 2007 წლის გაზაფხულზე დაიწყება და 2010 წელს დასრულდება.⁹ მიმდინარე სამუშაოები 4,1 მლნ აშშ დოლარის წინასწარი გრანტით დაფინანსდა, რომელიც აშშ-ს ათასწლეულის კორპორაციამ გამოყო.¹⁰

ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალი

176. სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკური განვითარებისათვის დამატებითი სტიმული იქნება ახალი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა, რომელიც თურქეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიებს ერთმანეთთან სარკინიგზო ხაზით დააკავშირებს. ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის პროექტის ხელშეკრულებას ხელი 2007 წლის 8 თებერვალს საქართველოს და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა და თურქეთის პრემიერ-მინისტრმა მოაწერეს. სარკინიგზო ხაზის 220 კილომეტრი (საქართველო-თურქეთის საზღვრიდან თბილისამდე) საქართველოს ტერიტორიაზე გადის. სარკინიგზო ხაზის 30-კილომეტრიანი მონაკვეთი აშენდება, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდება დანარჩენ 190-კილომეტრიან

⁹ სამცხე-ჯავახეთის გზების რეაბილიტაციის პროექტის ვებგვერდი: <http://gza.ge/ge/project.htm>

¹⁰ ემ-სი-ჯის ბიულეტენი 05.08.05/№3:http://www.mcga.gov.ge/Public_affairs/Biuleteni/Bulletin_3_05.08.2005_geo.doc

მონაკვეთს. მაგისტრალის პროექტის პირველი ეტაპის დაწყება 2008-2010 წლებში იგეგმება.

პრივატიზაცია

177. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში აქტიურად დაიწყო სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების პრივატიზაციის პროცესი, რაც წლების განმავლობაში ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ბევრ რაიონში შეჩერებული იყო.
178. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზების აქტიური პროცესი 2005 წლის 29 ივლისიდან დაიწყო, როდესაც ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში 1992-1998 წლებში უკვე განხორციელდა მიწის რეფორმა, რომლის დროსაც დადგენილი ნორმის ფარგლებში (დაბლობში მაქსიმალური ნორმა შეადგენდა 1.25 ჰა-ს, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში – 5 ჰა-ს) საქართველოს მოქალაქეებმა უსასყიდლოდ მიიღეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.
179. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება შესაძლებელია სპეციალური და ღია აუქციონის ფორმით და მოიჯარეებზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს და საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.
180. უნდა აღინიშნოს, რომ მიწის რეფორმის განხორციელებისას სახელმწიფო საზღვრის სასაზღვრო ზონაში შეზღუდული იყო მიწების გაცემა, თუმცა 1994 წლიდან აღნიშნული შეზღუდვა მოიხსნა. იმ პერიოდში სასაზღვრო ზონად დადგენილი იყო 21 კმ-იანი მონაკვეთი, მოგვიანებით 1998 წელს იგი შემცირდა 5 კმ-მდე, ხოლო დღეს არანაირი შეზღუდვა აღარ არსებობს. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება შესაძლებელია, როგორც სასაზღვრო ზონაში, ასევე 500-მეტრიან სასაზღვრო ზოლშიც. თუმცა, 500-მეტრიან სასაზღვრო ზოლში სახელმწიფო მიწის პრივატიზებისას ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში საჭიროა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, თანხმობა პრივატიზების განხორციელების თაობაზე.
181. დღევანდელი მდგომარეობით, 500-მეტრიან სასაზღვრო ზოლში განხორციელდა მიწების პრივატიზება ლაგოდეხისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში.
182. ქვემო ქართლის რეგიონში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში ვახტანგისა და ჯანდარის ადმინისტრაციულ ერთეულებში (ყოფილ საკრებულოებში) განხორციელდა მიწის სპეციალური აუქციონის ფორმით პრივატიზება და საქართველოს მოქალაქე ეთნიკურმა აზერბაიჯანელებმა სახელმწიფო საზღვრის 500-მეტრიან სასაზღვრო ზოლში შეიძინეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

183. ასევე, სპეციალური აუქციონები ჩატარდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ჭიაურის, შრომისა და ცოდნისკარის ადმინისტრაციულ ერთეულებში (ყოფილ საკრებულოებში).

184. დღევანდელი მდგომარეობით ქვემო ქართლში მოიჯარეების მიერ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებულია 895 მიწის ნაკვეთი, რომელიც შეადგენს ჯამში 13.793 ჰა-ს, ხოლო აუქციონებზე პრივატიზებულია 888 მიწის ნაკვეთი საერთო ფართობით 6.826 ჰა. სამცხე-ჯავახეთში მოიჯარეების მიერ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებულია 308 მიწის ნაკვეთი, რომელიც შეადგენს ჯამში 1.855 ჰა-ს.

185. მიწის პრივატიზების ქვემო ქართლის რეგიონში არსებული მანვენებლებით, უფრო მეტ ეთნიკურად არაქართველ საქართველოს მოქალაქეს აქვს პრივატიზებული/გამოსყიდული საიჯარო მიწის ნაკვეთი ან სპეციალური აუქციონის ფორმით შექმნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, ვიდრე ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას. *(აღნიშნული ინფორმაცია მოპოვებულია შესაბამისი რეგიონის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებსა და საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურებში).*

ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მიწის პრივატიზაციასთან დაკავშირებით იხ. დანართი 3.

პროფესიული მომზადების პროგრამა

186. 2006 წელს სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამაში სამცხე-ჯავახეთში მონაწილეობა მიიღო 957, ხოლო ქვემო ქართლში – 1141 ბენეფიციარმა.

მუხლი 16

მხარეები თავს შეიკავებენ იმ ზომების მიღებისაგან, რომლებიც ცვლიან მოსახლეობის პროპორციას იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობებისადმი მიკუთვნებული პირები და მიზნად ისახავენ წინამდებარე ჩარჩო კონვენციიდან გამომდინარე უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას.

187. 1990-იანი წლების დასაწყისში სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე კონფლიქტების შედეგად, სეპარატისტული ძალებისა და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ერთობლივი ძალისხმევით, თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილები მიატოვა 300 ათასამდე საქართველოს მოქალაქემ, ძირითადად ეთნიკურმა ქართველებმა. საქართველოს ხელისუფლებამ იძულებით გადაადგილებული პირები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განასახლა, მათ შორის ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში.

188. 1980-იანი წლების ბოლოსა და შემდგომ წლებში საქართველოს მაღალმთიან ზონებში ეკოლოგიური და ტექნოგენური კატასტროფების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობა საქართველოს

ხელისუფლებამ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განასახლა. სახელმწიფომ მათთვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში, სახლები შეიძინა/ააშენა. 2006 წელს სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეიძინა 210 სახლი, მათ შორის ქვემო ქართლის რეგიონის სხვადასხვა რაიონში შეიძინა 193 სახლი (წალკის რაიონში 156 სახლი, თეთრიწყაროს რაიონში 36 სახლი, გარდაბნის რაიონში 1 სახლი).¹¹

მუხლი 17

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას არ ჩაერიონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების უფლების განხორციელებაში, დაამყარონ და შეინარჩუნონ მშვიდობიანი ურთიერთობები საზღვარგარეთ იმ პირებთან, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან სხვა სახელმწიფოებში და კერძოდ იმათთან, რომლებთანაც მათ აკავშირებთ საერთო ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური თვითმყოფადობა ან საერთო კულტურული მემკვიდრეობა.

2. მხარეები იღებენ ვალდებულებას არ ჩაერიონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების უფლების განხორციელებაში, მონაწილეობა მიიღონ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

იხილეთ 90-ე, 189-ე პუნქტები.

მუხლი 18

1. მხარეები, აუცილებლობის შემთხვევაში, ეცდებიან დადონ ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით მეზობელ სახელმწიფოებთან, რათა უზრუნველყონ იმ პირების დაცვა, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

2. სათანადო შემთხვევებში, მხარეები მიიღებენ ზომებს შესაბამისი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის წასახალისებლად.

189. ქვემოთ იხილეთ მეზობელ სახელმწიფოებთან დადებული შეთანხმებები:

- საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინფორმაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ (4 მარტი, 2004);
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს შორის განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ (4 მარტი, 2004);
- საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამართლებრივი ინფორმაციის გაცვლის შესახებ (3 თებერვალი, 2000);
- საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის შრომისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სამინისტროს შორის შრომისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ (22 მარტი, 2000);

¹¹ <http://www.mra.gov.ge/index.php?&m=151&e=1&t=4>

- საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სპორტის დარგში თანამშრომლობის შესახებ (19 მაისი, 1993);
- საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ (17 ივლისი, 1992)
- საქართველოს განათლების სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტროს შორის განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ (11 თებერვალი, 2004);
- საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ (11 თებერვალი, 2004);
- საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის ინფორმაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ (11 თებერვალი, 2004);
- საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას და რუსეთის ფედერაციის მთავრობასა შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ (5 ივლისი, 2002).

სახელმწიფო ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობდნენ:

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- საქართველოს განათლების სამინისტრო;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო;
- საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო;
- საქართველოს პარლამენტი;
- საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- საქართველოს მთავრობის კანცელარია;
- საქართველოს გენერალური პროკურატურა;
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;
- საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი;
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;
- საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია;
- საქართველოს საჯარო სამსახურის ბიურო;
- საქართველოს გაეროს ასოციაცია
- მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია.

სახელმწიფო ანგარიშში მოცემული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებლობა აღნიშნულ უწყებებსა და ორგანიზაციებს ეკისრებათ.

მუდმივი მოსახლეობის განაწილება ცალკეული ეროვნებების მიხედვით
 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (მხარეების), ქალაქებისა და რაიონების ჭრილში

(კაცი)

მხარეები	მოსახლეობა სულ	მათ შორის:									
		ქართველი	აფხაზი	ოსი	სომეხი	რუსი	აზერბაიჯანელი	ბერძენი	უკრაინელი	ქისტი	ეზიდი
საქართველო - სულ	4371535	3661173	3527	38028	248929	67671	284761	15166	7039	7110	18329
ქ. თბილისის მერია	1081679	910712	471	10268	82586	32580	10942	3792	3328	73	17116
აფხაზეთის არ - (კოლორის ხეობა)	1956	1912	9	2	1	23	6	-	2	-	-
აჭარის არ	376016	351132	1558	208	8848	9073	542	2168	1056	8	76
ქ. ბათუმი	121806	104313	800	142	7517	6300	301	587	770	8	69
ქედის რაიონი	20024	19958	15	2	8	26	7	-	3	-	-
ქობულეთის რაიონი	88063	83367	50	36	958	1692	79	1487	176	-	7
შუახევის რაიონი	21850	21796	25	5	5	14	1	1	2	-	-
ხელვაჩაურის რაიონი	90843	88321	645	19	355	1029	151	91	103	-	-
ხულოს რაიონი	33430	33377	23	4	5	12	3	2	2	-	-
გურია	143357	138942	78	152	2134	1558	91	49	194	2	23
ლანჩხუთის რაიონი	40507	39868	7	33	160	345	33	18	28	-	-
ოზურგეთის რაიონი	78760	75142	59	103	1944	1133	55	29	159	2	23
ჩოხატაურის რაიონი	24090	23932	12	16	30	80	3	2	7	-	-
იმერეთი	699666	689490	388	639	1890	4924	274	242	636	-	56
ქ. ქუთაისი	185965	181465	92	245	613	2223	132	127	293	-	52
ტყიბულის რაიონი	31132	30656	29	35	41	282	6	10	40	-	-
წყალტუბოს რაიონი	73889	72885	48	58	130	576	55	16	73	-	2

მხარეები	მოსახლეობა სულ	მათ შორის:									
		ქართველი	აფხაზი	ოსი	სომეხი	რუსი	აზერბაიჯანელი	ბერძენი	უკრაინელი	ქისტები	ეზიდი
ჭიათურის რაიონი	56341	55802	17	22	217	190	10	40	20	-	-
ბაღდათის რაიონი	29235	29073	7	10	2	91	5	1	7	-	-
ვანის რაიონი	34464	34279	24	13	3	96	18	9	9	-	-
ზესტაფონის რაიონი	76208	75412	53	56	141	370	7	6	72	-	-
თერჯოლის რაიონი	45496	45220	29	13	38	150	4	1	15	-	-
სამტრედიის რაიონი	60456	58883	33	39	615	635	24	22	80	-	-
საჩხერის რაიონი	46846	46591	11	117	20	84	-	5	8	-	1
ხარაგაულის რაიონი	27885	27728	7	22	20	85	8	2	5	-	-
ხონის რაიონი	31749	31496	38	9	25	142	5	3	14	-	1
კახეთი	407182	341503	175	6109	3789	3844	40036	285	222	6997	495
ახმეტის რაიონი	41641	31237	10	1961	100	134	152	6	6	6928	2
გურჯაანის რაიონი	72618	71148	32	463	484	350	58	16	36	-	6
დედოფლისწყაროს რაიონი	30811	27441	8	102	1286	701	1019	153	21	6	5
თელავის რაიონი	70589	60370	38	412	460	381	8373	20	63	58	357
ლაგოდეხის რაიონი	51066	35376	15	2239	561	1204	11392	16	48	-	25
საგარეჯოს რაიონი	59212	39409	21	125	231	377	18907	27	21	4	33
სიღნაღის რაიონი	43587	42226	26	45	419	539	118	16	15	-	60
ყვარელის რაიონი	37658	34296	25	762	248	158	17	31	12	1	7
მცხეთა-მთიანეთი	125443	116476	60	3977	532	757	2248	163	143	5	96
ახალგორის რაიონი	7703	6520	6	1110	37	20	2	2	1	-	1
დუშეთის რაიონი	33636	32229	31	1167	43	103	5	19	18	3	-
თიანეთის რაიონი	14014	13777	3	147	20	37	4	13	6	-	1

მხარეები	მოსახლეობა სულ	მათ შორის:									
		ქართველი	აფხაზი	ოსი	სომეხი	რუსი	აზერბაიჯანელი	ბერძენი	უკრაინელი	ქისტები	ეზიდი
მცხეთის რაიონი	64829	58808	20	1464	427	583	2236	129	113	1	94
ყაზბეგის რაიონი	5261	5142	-	89	5	14	1	-	5	1	-
მცხეთის რაიონი	64829	58808	20	146	427	583	2236	129	113	1	94
ყაზბეგის რაიონი	5261	5142	-	89	5	14	1	-	5	1	-
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	50969	50565	36	12	28	109	47	8	16	-	-
ამბროლაურის რაიონი	16079	15991	10	6	9	46	-	3	8	-	-
ონის რაიონი	9277	9093	7	108	13	19	4	1	2	-	-
ცაგერის რაიონი	16622	16539	10	5	6	29	22	4	4	-	-
ლენტეხის რაიონი	8991	8942	9	2	-	15	21	-	2	-	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	466100	459614	423	163	476	4163	142	86	528	-	2
ზუგდიდის რაიონი	167760	166039	172	44	90	1142	47	13	109	-	-
აბაშის რაიონი	28707	28474	32	14	11	124	10	-	15	-	-
მარტვილის რაიონი	44627	44399	37	8	16	131	8	6	14	-	-
სენაკის რაიონი	52112	51532	36	19	92	263	10	5	41	-	-
ჩხოროწყუს რაიონი	30124	29895	36	2	30	127	1	1	20	-	-
წალენჯიხის რაიონი	40133	39764	42	5	26	224	7	7	42	-	-
ხობის რაიონი	41240	40929	29	6	6	216	16	1	21	-	-
მესტიის რაიონი	14248	14168	12	3	11	52	-	-	1	-	-
ქ. ფოთი	47149	44414	27	62	194	1884	43	53	265	-	2
სამცხე-ჯავახეთი	207598	89995	42	822	113347	2230	59	740	162	-	1
ადიგენის რაიონი	20752	19860	13	28	698	101	17	7	20	-	-
ასპინძის რაიონი	13010	10671	4	9	2273	34	-	8	5	-	-

მხარეები	მოსახლეობა სულ	მათ შორის:									
		ქართველი	აფხაზი	ოსი	სომეხი	რუსი	აზერბაიჯანელი	ბერძენი	უკრაინელი	ქისტები	ეზიდი
ახალქალაქის რაიონი	60975	3214	3	10	57516	157	3	51	14	-	-
ახალციხის რაიონი	46134	28473	12	52	16879	410	13	129	42	-	-
ბორჯომის რაიონი	32422	27301	10	719	3124	585	24	540	75	-	1
ნინოწმინდის რაიონი	34305	476	-	4	32857	943	2	5	6	-	-
ქვემო ქართლი	497530	222450	183	218	77	6464	224606	7415	527	22	463
ქ. რუსთავი	116384	102151	44	141	09	3563	4993	257	395	15	293
ბოლნისის რაიონი	74301	19926	35	80	4316	414	49026	438	14	-	-
გარდაბნის რაიონი	114348	60832	48	412	1060	994	49993	236	65	6	162
ღმანისის რაიონი	28034	8759	9	12	147	156	18716	218	7	-	-
მარნეულის რაიონი	118221	9503	29	47	9329	523	98245	396	29	1	6
თეთრი წყაროს რაიონი	25354	18769	16	205	2632	689	1641	1281	14	-	-
წალკის რაიონი	20888	2510	2	18	11484	125	1992	4589	3	-	2
შიდა ქართლი	314039	288382	104	13383	3521	1946	5768	218	225	3	1
გორის რაიონი	148686	137957	45	6405	1972	1136	607	97	123	-	-
კასპის რაიონი	52217	44162	13	3479	254	271	3962	27	35	-	-
ქარელის რაიონი	50422	45593	25	2755	542	217	1183	52	21	-	-
ხაშურის რაიონი	62714	60670	21	744	753	322	16	42	46	3	1

არაქართულენოვანი სკოლები საქართველოს რეგიონებში

2004-2005	არაქართული სკოლები	2005-2006	არაქართული სკოლები	2006-2007	არაქართული სკოლები
რეგიონები	სკოლების რაოდენობა	რეგიონები	სკოლების რაოდენობა	რეგიონები	სკოლების რაოდენობა
თბილისი	69	თბილისი	68	თბილისი	71
აფხაზეთი	10	აჭარა	21	აჭარა	16
აჭარა	17	გურია	4	გურია	4
გურია	4	იმერეთი	8	იმერეთი	7
იმერეთი	7	კახეთი	27	კახეთი	22
კახეთი	27	მცხეთა-მთიანეთი	6	მცხეთა-მთიანეთი	6
მცხეთა-მთიანეთი	6	სამეგრელო-ზემო სვანეთი	12	სამეგრელო-ზემო სვანეთი	6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1	სამცხე-ჯავახეთი	117	სამცხე-ჯავახეთი	114
სამეგრელო-ზემო სვანეთი	8	ქვემო ქართლი	177	ქვემო ქართლი	159
სამცხე-ჯავახეთი	123	შიდა ქართლი	4	შიდა ქართლი	4
ქვემო ქართლი	205	აფხაზეთი ლტოლვილები	- 1	აფხაზეთი ლტოლვილები	- 1
შიდა ქართლი	4				

არაქართულენოვანი მოსწავლეების რაოდენობა სექტორების მიხედვით

2004-2005 მოსწავლეები სექტორებში

რეგიონები	აფხაზური	აზერბაიჯანული	ოსური	ქართული	რუსული	სომხური	სხვა
თბილისი	480	572		131230	14898	2083	110
აფხაზეთი	350			2340	735		
აჭარა				60834	1559	49	
გურია				19269	260		
იმერეთი				91050	1453		
კახეთი		3566	139	51836	850		
მცხეთა-მთიანეთი			151	17704	249		
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი				5622	0		
სამეგრელო-ზემო სვანეთი				56408	967		
სამცხე-ჯავახეთი		83		16470	2049	15131	
ქვემო ქართლი	0	24570		42416	4781	3017	
შიდა ქართლი				48031	615		
აფხაზეთი ლტოლვილები				3682	7		
სულ	830	28791	290	546892	28423	20280	110

2005-2006 მოსწავლეები სექტორებში

რეგიონები	აფხაზური	აზერბაიჯანული	ოსური	ქართული	რუსული	სომხური	სხვა
თბილისი		242		149446	15542	817	
აფხაზეთი				270			

კერძო სკოლები სადაც არის არაქართული სექტორები

რეგიონები	სკოლების რაოდენობა
თბილისი	6
აჭარა	5

აჭარა			59583	2592	37		
გურია			18664	714			
იმერეთი			93669	1383		94	
კახეთი	2471	127	50815	828	60		
მცხეთა-მთიანეთი			16025	234			
რაჭა- ლენხუმი და ქვემო სვანეთი			5376				
სამეგრელო- ზემო სვანეთი			55751	1267			
სამცხე-ჯავახეთი			15778	1589	14224		
ქვემო ქართლი	24376		42759	5295	3322		
შიდა ქართლი			47907	534			
აფხაზეთი - ლტოლვილები			3222	11			
	0	27089	127	559265	29989	18460	94

იმერეთი	1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1
ქვემო ქართლი	2
შიდა ქართლი	1

2006-2007		მოსწავლეები სექტორებში						
რეგიონები	აფხაზეთი	აჭარა	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა- ლენხუმი და ქვემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი
თბილისი		243						107
აფხაზეთი								473
აჭარა								60270
გურია								18812
იმერეთი								92363
კახეთი			4230	65	48100	731	56	323
მცხეთა-მთიანეთი				61	16246	142		
რაჭა- ლენხუმი და ქვემო სვანეთი						5135		
სამეგრელო- ზემო სვანეთი						56136	606	
სამცხე-ჯავახეთი		4	32	15546	1632	14091		
ქვემო ქართლი		26193		40989	5149	2975		

კერძო სკოლები სადაც არის არაქართული სექტორები	
რეგიონები	სკოლების რაოდენობა
თბილისი	სკოლების რაოდენობა
აჭარა	9
კახეთი	3
ქვემო ქართლი	1
შიდა ქართლი	1

შიდა ქართლი	
აფხაზეთი	-
ღვთოღვილები	

47552	474
2747	13

30670 158 559181 27539 17880 430

ha		იჯარაში							სამც. აშენებში					ღია აშენებში				
		საიჯარო ნაკვეთების საერთო რაოდენობა (ლაუზუსტებული)	შემოსული განაცხადების რაოდენობა	თანხმობა (პრივატიზებულია)	პრივატიზებული ნაკვეთების რაოდენობა %	იჯარით გაცემული ნაკვეთების ფართობი (ლაუზუსტებული ჰა)	პრივატიზებული საიჯარო ნაკვეთების ფართობი (ჰა)	პრივატიზებული საიჯარო ნაკვეთების ფართობი % (ჰა)	ნაკვეთების საერთო რაოდენობა	გაყიდული ნაკვეთების რაოდენობა	ნაკვეთების საერთო ფართობი (ჰა)	პრივატიზებული ნაკვეთების ფართობი (ჰა)	პრივატიზებული ნაკვეთების ფართობი % (ჰა)	ნაკვეთების საერთო რაოდენობა	გაყიდული ნაკვეთების რაოდენობა	ნაკვეთების საერთო ფართობი (ჰა)	პრივატიზებული ნაკვეთების ფართობი (ჰა)	პრივატიზებული ნაკვეთების ფართობი % (ჰა)
	ქვემო ქართლი																	
1	მარნეული	1 852	335	335	18,09%	35 097	4 256	12,13%	3 424	218	2 711	1 817	67,02%	0	0	0	0	
2	ღმანისი	300	39	39	13,00%	15 180	686	4,52%	407	12	3 483	137	3,93%	0	0	0	0	
3	ბოლნისი		190	171			1 991		2 858	299		1 754		0	0	0	0	
4	თეთრიწყარო	543	82	70	12,89%	16 308	974	5,97%	0	0	5 361	0	0,00%	0	0	0	0	
5	გარდაბანი		282	267		26 000	5 726	22,02%	6 410	359	11 000	3 118	28,35%	0	4	0	66	
6	წალკა		82	13			162		0	0	0	0		0	0	0	0	
	ჯამი	2 695	1 010	895	33,21%	92 585	13 793	14,90%	13 099	888	22 555	6 826	30,26%	0	4	0	66	
	რეგიონი სამცხე-ჯავახეთი																	
1	ასპინძა	243	34	34	13,99%	1 493	86	5,74%	0	0	0	0		0	0	0	0	
2	ადიგენი	148	22	22	14,86%		1 061		0	0	0	0		0	0	0	0	
3	ახალციხე	714	174	160	22,41%	2 856	234	8,20%	0	0	2 657	0	0,00%	0	0	0	0	
4	ახალქალაქი	436	39	24	5,50%	3 903	56	1,42%	0	0	0	0		0	0	0	0	
5	ბორჯომი	303	33	28	9,24%	7 158	45	0,63%	0	0	0	0		0	0	0	0	
6	ნინოწმინდა	536	40	40	7,46%	8 532	373	4,37%	0	0	0	0		0	0	0	0	
	ჯამი	2 380	342	308	12,94%	23 942	1 855	7,75%	0	0	2 657	0	0,00%	0	0	0	0	